



საბჭოეთის საგარეო ურთიერთობები

ს.ს.ს.რ.
შსსსპნბრების
ფრბვირეაჟული
ფრბბანი

→ შინაურსი ←

- კ. მი'ელაძე.—მიწის იჯარის ვადის შესახებ.
- ი. აფაქიძე.—ყაჩაღური თავდასხმა და ბანდიტიზმი რ.ს.ფ.ს.რ და ს.ს.ს.რ. სისხ. სამ. კოდექსებით.
- ნ. ჯინჯარაძე.—სახალხო სასამართლოების შრომითი სესიები.
- ა. ქორქია.—დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციის შესახებ.
- კ. ერქომაიშვილი.—კერძო დანაშაულის შესახებ.

მოკვლევის საკითხები.

დ. მირიანაშვილი.—სისხლის სამართლის დანაშაულთა კვალები.

სასამართლო და ცხრვრება.

- თ. შავიშვილი.—სასამართლოს აღმასრულებელთა აპარატის რაციონალიზაციის შესახებ.
- ი. კალანდაძე.—მე-3-მე უბ. სახ. სასამ. და მისი მუშაობა 1927 წლის 1-ლი მარტიდან 1928 წლის 1-ლ ოქტომბრამდე.

მ რ ო ნ ი კ ა.

ბიბლიოგრაფია.

კანონმდებლობის მიმოხილვა

ოფიციალური ნაწილი

№ 23

დეკემბერი

1928

საქ. ს. ს. რ. იუსტისსაკომისიის გამოცემული

თანხმად საქ. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. დეკემბრის 14 დადგენილ ბისა „საქ. მ. გ. კანონთა და განკარგულებათა კრებულის სავალდებულო გამოწერის შესახებ“ აცხადებს

სახელმწიფო, კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა და აგრეთვე კერძო დაწესებულებათა და პირთა საყურადღებოდ, რომ

იღებს ხელისმომწერას

საქართ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულზე 1928 წლისათვის

საქ. ს. ს. რ. იუსტ. სახ. კომისარიის გამოცემული საქმეები:

- | | |
|---|--|
| <ol style="list-style-type: none"> 1. საქ. ს. ს. რ. კონსტიტუცია საუკეთესო ქალაქებზე, ქართულ ენაზე — 40 კ. 2. საქ. ს. ს. რ. კონსტიტუცია საუკეთესო ქალაქებზე, რუსულ ენაზე — 40 კ. 3. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული 1923 წ. ქართულ ენაზე, კომპლექტი . 1 მ. 20 კ. 4. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკ. კრებ. 1924 წ. ქართულ და რუსულ ენაზე 2 მ. — 5. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1925 წ. ქართულ და რუსულ ენაზე 1 მ. 50 კ. 6. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1926 წ. ქართულ და რუსულ ენაზე 3 მ. 10 კ. 7. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1927 წ. ქარ. ენაზე 3 მ. — 8. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1927 წ. რუს. ენაზე 3 მ. — 9. საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსი. 10. სამოქალაქო პროცესი. სახელმძღვან. ს. ჯაფარიძისა.—ქართულ ენაზე . . 1 მ. 65 კ. 11. საქ. ს. ს. რ. სამოქალაქო კოდექსი, ქართულ ენაზე 1927 წ. გამოცემა — 75 კ. 12. იგივე რუსულ ენაზე — 75 კ. 13. საქ. ს. ს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ქართულ ენაზე — 45 კ. 14. საქ. ს. ს. რ. სასამართლოს წყობილების დებულება, ქართულ ენაზე — 25 კ. 15. საქ. ს. ს. რ. სისხლის სამ. საპრ. კოდ. 1927 წ. გამოცემა — 70 კ. | <ol style="list-style-type: none"> 16. იგივე რუსულ ენაზე — 70 კ. 17. საქართველოს ს. ს. რ. კონსტიტუცია (ბროშურად) გაყიდულია. 18. „ტყის წესების დარღვევა—წანახედი“ სახელმძღვანელო თემალმასკომებისათვის (გაყიდულია). 19. ბროშურა „კომლის გაყრა“—მ. ქორკაშვილი — 20 კ. 20. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის ახსნა განმარტებანი მიწის კოდექსის ზოგიერთი მუხლებისა“—(გაყიდული). 21. „იუსტისსაკომისიის მომქმედი 1925 წ. ინსტრუქციებისა და ცირკულარების კრებული“ 1 მ. — 22. ბროშურა „მიწის შრომითი იჯარა“— 15 კ. ა. ალხოვი. 23. „მსჯავრდადებულთა ცნობარი“ 1924 და 25 წ.წ. 3 მ. — 24. „იუსტისსაკომისიის მომქმედი—1926 წ. ინსტრუქციებისა და ცირკულარების კრებული“ (იბეჭდება). 25. „საქართველოს ს. ს. რ. შრომა გასწორების კოდექსი“ — 50 კ. 26. „შრომითი მიწის მოსარგებლე და მისი უფლება მოვალეობანი — კ. მიქელაძე. (პოპულარული წიგნი) — 50 კ. 27. „სახალხო მსაჯულის უფლება-მოვალეობანი სასამართლოში“ — 25 კ. 28. „ნასყიდობა“—ა. ალხოვისა — 70 კ. 29. „Действующее законодательство о порядке перехода и обложения налогом имущества, переходящих по наследованию и дарению“ И. Паичадзе. სისხლის სამართლის კ.—ც. 70 კ. 30. საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსი ქართულ და რუსულ ენაზე — 65 კ. |
|---|--|

ამის გარდა გამომცემლობას შეუძლიან მიაწოდოს მსურველთ რ. ს. ფ. ს. რ. და უკრ. რესპ. იურიდიული ლიტერატურის ყველა ახალი გამოცემა.

ყველა მოთხოვნას კანონთა კრებულის, კოდექსების და იურიდიული ლიტერატურის გაგზავნის შესახებ გამომცემლობა ასრულებს დაუყოვნებლივ ფოსტით ფულის მიღების უმაღლეს ან და ფასდადებით გაგზავნის შესახებ მოთხოვნის მიღებისთანავე.

შეკვეთით უნდა მიმართონ: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32, იუსტ. სახ. კომის. გამომცემლობას. ტელეფონი—13 68.

34 (05)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

113

საბჭოთა საშრობელი

ბრძოლისა და კანტორის
მისამართი:

ბზილისი, ბრიზუნალის
ძ. № 32

ტელ. № 10—51

საღიწმინდოების ფასი:

წლიურად—10 მან.

6 თვით—5 მან. 50 კაპ.

3 თვით—3 მან.

1 ნომერი 50 კაპ.

№ 23

1 დეკემბერი 1928 წ.

№ 23

მიწის იჯარის ვადის შესახებ.

საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოტანილ იქნა ა/წ. 18 ივლისის დადგენილება მიწის იჯარის საზღვრითი ვადის შესახებ.¹⁾ ამ დადგენილებით მიცემულია დირექტივები, რომლების მიხედვით გადასინჯული უნდა იქნეს საკავშირო რესპუბლიკების კანონმდებლობა მიწის იჯარის ვადების შესახებ.

იმ დებულებათა შორის, რომლებსაც შეიცავს ხსენებული დადგენილება, ფრიად საყურადღებოა დირექტივა იჯარის ვადის განსაზღვრის შესახებ. აქ შრომითი სარგებლობის მიწის ვაცემა იჯარით დაშვებულია ვადით არა უმეტეს თვისის ერთი ბრუნვისა, მაგრამ იმავე დროს განმარტებულია, რომ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 წელს. ამრიგად 6 წელი არის გამოცხადებული მიწის იჯარის საზღვრითი ვადათ.

საზღვრითი ვადის დაწესებასთან დაკავშირებით იქცევა ყურადღებას ის დებულება, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ დირექტივა, რომელიც ითვალისწინებს მიწის იმ ნაკვეთის ჩამორთმევის შესაძლებლობას, რომელიც იჯარით იყო ვაცემული. ასეთი შესაძლებლობა დამოკიდებულია იმ ვარაუდებზე, თუ მიწის შრომითი მოსარგებლე საზღვრითი ვადის ვასელის შემდეგ არ შეუდგება მიწის დამოუკიდებლად გამოყენებას, ე. ი. თავისი სარგებლობის მიწაზე მეურნეობის პირადი ძალებით წარმოებას. აღნიშნული დადგენილება აშკარად გულისხმობს შემდეგს: იჯარის საზღვრითი ვადა 6 წელიწადია, ხოლო ამ საზღვრითი ვადის ფარგალში ცალკე შემთხვევებისათვის შეიძლება იყოს მიწის იჯარის სხვადასხვა ვადა. მაზრის საადგილმამულო განყოფილებას შეუძლია მიწის შრომითი მოსარგებლეს ნება დართოს, ვასცეს მიწა იჯარით არა 6 წლით-არამედ ნაკლები ვადით, მაგრამ ეს ვარაუდობა ხელს არ შეუშლის იმას, რომ განახლებულ იქნეს საიჯარო ხელშეკრულება ან მისი ვადა იქნეს გაგრძელებული ექვს წლიან ვადამდე

ექვს ვარაუდობა, მიწის იჯარით ვაცემის დაშვება ამა თუ იმ ვადით დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის მე-

ურნეობას აწარმოებს მიწის მოსარგებლე და აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად დაუძღვრებულა მეურნეობა.

მიწის იჯარით ვაცემის ძირითად პირობას, როგორც ვიცით, მეურნეობის დაუძღვრება შეადგენს. მიწ. კოდ. 26 მუხლში მეურნეობის დაუძღვრების რამდენიმე მიზეზია აღნიშნული. იქ ვათვალისწინებულია სტიქიური უბედურება ან ინვენტარის და მუშა ძალის ნაკლებობა ან მუშა ძალის შემცირება. ვარდა აღნიშნულ მიზეზებისა ხსენებულ მუხლის დადგენილებაში განმარტებითი ჩამოთვლაა იმ ვარაუდებისა, რომლებიც ახასიათებენ მეურნეობის დაუძღვრების ცალკე მიზეზს, მაგრამ ერთს შემთხვევაში ამ ჩამოთვლას სამწუხაროთ, ამომწურავი ხასიათი აქვს...

საკავშირო ც. ა. კ-ის დასამტკიცებლად წარსადგენი პროექტი მიწათ მოწყობისა და მიწათ სარგებლობის ძირითად საწყისებისა აფართოებს, ადიდებს იმ ვარაუდობათა რიცხვს, რომლების ჩამოთვლას აქვს მეურნეობის დაუძღვრების განსაზღვრული მიზეზის განმარტების მნიშვნელობა. ეს ვაფართოება სხვათა შორის იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნულ პირობათა ჩამოთვლის შემდეგ, რაც მიუთითებს მუშა ხელის დაკლების ანუ შემცირების გამო მეურნეობის დაუძღვრებაზე, ნახმარია სიტყვა „და სხვ.“ ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვარდა კანონში ჩამოთვლილ ვარაუდობათა, რომლებიც განსაზღვრავენ მეურნეობის დაუძღვრებას მუშა ხელის დაკლების ან შემცირების გამო, შეიძლება იყოს სხვა პირობებიც.

ჩვენი კანონის რედაქცია (26 მუხ.) ამ მხრივ მოიკოკლებს, რადგან ჩამოთვლის რა მეურნეობის დაუძღვრების დამახასიათებელ ვარაუდობებს, მუშა ძალის ნაკლებობის ან შემცირების გამო, ის ამ ჩამოთვლის შემდეგ სვამს წერტილს ამიტომ ამ ჩამოთვლას ამომწურავი ჩამოთვლის ხასიათი ეძლევა. მაგრამ მიუხედავად ამისა მიწის კოდექსის სხვა მუხლები საშუალებას გვაძლევს განმარტების მგზავობით ვავაფართოვოდ 26 მუხლში მოცემული ჩამოთვლა, იმ პირობებისა, რომლებიც განსაზღვრავენ მეურნეობის დაუძღვრებას აღნიშნულ მიზეზით. ასეთი განმარტების შესაძლებლობა იძლევა სხვათა შორის მიწის კოდექსის 32 მუხლი, რომელიც შეიცავს დადგენილებას, რომლის ძალითაც მიწის იჯარით ვაცემის უფლება არა

1) იხ. „Известия Центр. Испол. Ком. Союза С. С. Р. и Всерос. Центр. Испол. Ком. Советов“ ა/წ. 24 ივლისის № 170.


თავდასხმა ჩადენილია ცალკე პიროვნების მიერ, ხოლო ბანდიტურ მოქმედებათა წყებაში მოექცევა ყველა ის შემთხვევა, რომელშიც თავდასხმა არის ჩადენილი **ჯგუფის მიერ**. ამის მიხედვით შეიარაღებული ჯგუფის ყოველივე ყაჩაღური თავდაცემა დაწესებულებაზე, ან კერძო მოქალაქეზე შეფასებული უნდა იქნას როგორც ბანდიტიზმი დამოუკიდებლად იმისა, აქვს ამ ჯგუფს „შიაკის“ ორგანიზაციამნილი ხასიათი, თუ ის შემთხვევით შეერთებულ რამდენიმე პიროვნებისაგან შესდგება. შესდგა ასეთი ჯგუფი ერთი თავდასხმის ჩადენისათვის, თუ მან მრავალი ასეთი მოქმედების ჩადენა დაისახა.

ასე არ უდგებოდა საკითხს რ. ს. ფ. ს. რ.-კის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის 184 მუხლის 2 ნაწილში გათვალისწინებული იყო ყაჩაღური თავდასხმა, ჩადენილი ჯგუფის (შიაკის) მიერ. რამდენადაც ასეთი ქმედობას ჰქონდა მხოლოდ ქონებრივი დანაშაულის ხასიათი და არაავითარი სხვა მომენტებით ის არ იყო გართულებული; ყაჩაღური თავდასხმა ჩადენილი ჯგუფის მიერ, იყო მოქცეული ქონების საწინააღმდეგოდ მიმარ, თულ დანაშაულთა რიცხვში და მისი გამიჯვნა ბანდიტიზმისაგან სიძნელეს არ წარმოადგენდა. მართალია, შეიარაღებული ყაჩაღური თავდასხმა, ჩადენილი ჯგუფის მიერ, 1922 წლის სის. სამ. კოდექსით იწვევდა პასუხისმგებლობას 75 მუხლის მიხედვით, ე. ი. როგორც ბანდიტიზმი მაგრამ ეს შეეხებოდა მხოლოდ სოციალური დაცვის ღონისძიებების განსაზღვრას, ის არ ცვლიდა თვით დანაშაულის ბუნებას; და მას იგი არ აქცევდა მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულად, აქ ყაჩაღური თავდასხმა ჩადენილი შეიარაღებული ჯგუფის მიერ, ისჯებოდა როგორც ბანდიტიზმი მხოლოდ სოციალური საშიშროების მიხედვით, პასუხისმგებლობის მხრივ კი უთანაბრდება ამ უკანასკნელს, მაგრამ თავის შინაარსით მოქმედება არ ჰკარგავდა წმინდა ქონებრივი დანაშაულის ხასიათს.

რ. ს. ფ. ს. რ.-კის 1926 წლის სის. სამ. კოდექსი კი, როგორც ეს 167 მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, შეიარაღებული ჯგუფის ყოველივე სააშკარაოდ თავდასხმა შეიცავს უკვე ბანდიტიზმის ცნებას. თეორიულად ეს სწორი არაა. პირველ ყოვლისა ბანდიტიზმი მოთავსებულია ს. ს. კ.-ქსის იმ თავში, რომელიც ითვალისწინებს მმართველობის წესის საწინააღმდეგო განსაკუთრებული საშიშ დანაშაულს; ამიტომ ბანდიტიზმი არის ისეთი ქმედობა, რომელიც ყოველ კერძო შემთხვევაში უნდა იყოს გართულებული განსაკუთრებული მომენტებით ს. ს. კ.-ქსის 167 მუხლის მოკავშირე რესპუბლიკების გარეშე საფრთხისაგან დაცვის საქმეთა პროლეტარულ რევოლიუციის ძირითად სამეურნეო პოლიტიკურ ნაციონალურ მონაპოვართა ძირის გამოსათხრელად ან შესასუსტებლად—591 მ., რომ წმინდა შინაარსი ქონებრივ დანაშაულს არ ახასიათებს განსაკუთრებით მაშინ როცა დანაშაული მიმართულია კერძო პირის ქონების წინააღმდეგ. ამიტომ, ჩვენის აზრით, სავსებით მართალია პროფ. ტრანიანი, როცა ის 1926 წლის სის. სამ. კ.-ქსის კომენტარში განმარტავს, რომ ყაჩაღური თავდაცემა, ჩადენილი შეიარაღებული ჯგუფის მიერ, მოექცევა ბანდიტიზმის ქმედობათა რიგში მხოლოდ მაშინ, როცა ჯგუფს აქვს შეიარაღებულ შიაკის

ხასიათი და ამასთან როცა ასეთი შიაკის თავდასხმა სრულდეს მარტოოდენ ქონების მოტაცების ნიშნები; მაშასადამე, თუ შიაკის მოქმედება მხოლოდ ქონების წართმევის მიზნითაა გამოწვეული და ის არაავითარი სხვა განსაკუთრებული მომენტებით არ არის გართულებული, ქმედობა, პროფ. ტრანიანის აზრით, უნდა მოექცეს ყაჩაღურ თავდასხმის დამახასიათებელ ქმედობათა რიგში, რის შესაძლებლობას არ იძლევა რ. ს. ფ. ს. რ. სის. სამ. კოდ., 167 მ. მუხ. შემდეგ ყოველივე შეიარაღებულ ჯგუფის თავდაცემის ბანდიტიზმად აღიარება, როგორც ეს მიღებულია რ. ს. ფ. ს. რ. 1926 წლის სის. სამ. კოდ.-ქსში, არ არის სწორი კიდევ იმიტომ, რომ ეს ეწინააღმდეგება თვით ბანდიტიზმის ცნებას.

თუმცა კანონი არ იძლევა იმის პირდაპირი განმარტებას, შეიარაღების მომენტის გარდა, თუ რა ნიშნებით ხასიათდება „ბანდა-შიაკა“ მაგრამ ამ საკითხის თეორიულ გამოკვლევის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბანდიტიზმის მთავარ და ძირითად ნიშანს წარმოადგენს რამდენიმე პირის სოლიდარული და წინასწარი შეთანხმებით მოქმედება განსაზღვრული მიზნის გასახორციელებლად; წინასწარი შეთანხმების მომენტი ანიჭებს შიაკს ორგანიზაციამნილ ჯგუფის ხასიათს, რომლის მიხედვითაც ის სამართლებრივი წესრიგისათვის განსაკუთრებული საშიშროებას წარმოადგენს. შემდეგ ნიშნად ბანდის შედგენილობაში აღიარებულია ბანდაში მონაწილე პირთა შეიარაღება, ამასთან, როგორც ეს მტკიცეთ გატარებულია სასამართლოს პრაქტიკაში, საჭირო არ არის, რომ ბანდის ყველა მონაწილე იყოს შეიარაღებული, საკმარისია მონაწილე პირთა მხოლოდ ერთი ნაწილის შეიარაღება; არა აქვს აგრეთვე მნიშვნელობა იმას, თუ რა იარაღით შეიარაღებულია თავდაცემისათვის შემდგარი ბანდა, არის ეს სროლის, თუ მკვეთი იარაღი, ან ისეთი საგანი, რომელიც თავის თვისებით არა ნაკლებ საშიშია, ვიდრე იარაღი (მაგალითად, ნაჯახი, წალდი და სხვა); ყველა ჩამოთვლილი ნიშნები ქმნიან ბანდიტიზმის შინაარსს მხოლოდ მაშინ, როცა ბანდა მოქმედობს განსაზღვრული ღონისძიებით; ასეთ ღონისძიებად აღიარებულია კანონით საშკაროდ თავდაცემა ამიტომ, თუ შეიარაღებულმა რამდენიმე პირმა წინასწარი შეთანხმებით ქურდობა ჩაიდინა, ეს არ იქნება ბანდიტიზმი, ვინაიდან აქ აღვილი არ აქვს სააშკარაო თვითდაცემას, არამედ ქონება ფარულად იქნა



ი. აფაქიძე.

(გაგრძელება იქნება)

სახალხო სასამართლოების შრომითი მსენიები*)

ახალი კანონის მიხედვით შრომის სესიები იხილავენ ყველა დავას,—რომელიც წარმოიშვება შრომის კანონმდებლობის შეფარდების გამო: კოლექტიური და შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებათა დარღვევის ან შინაგანი წესის შეუსრულებლობისა ან მუშაკებზე გადასახდელის დადების გამო. შრომის სესიების

*) იხ. „საბჭოთა სიმართლის“ № 22.

ქვემდებარე საქმეების რიცხვს ეკუთვნის ის კონფლიქტებიც, რომლების განხილვა სავალდებულოა როგორც სამომრიგებლო-სამედიატორო წესით, ისე შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში.

ისეთ კონფლიქტებისათვის, რომლების განხილვისათვის მომუშავე მიმართავს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას და რომლების განხილვა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში არ არის სავალდებულო, დაწესებულია—14 დღე. ყველა დანარჩენ საქმეებზე კი 3 თვე.

ვადების გამოანგარიშება ხდება შემდეგნაირად: დათხოვნის შესახებ, საქმეებზე, რაც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში არ ყოფილა განხილული, დღიდან მუშაკისათვის ანგარიშის წარდგენისა; შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში განხილვის დროს გადაუჭრელად დარჩენილ საქმეებზე, რაც დათხოვნას შეეხება, და შემფასაკომში გადაუჭრელად დარჩენილ ყველა დანარჩენ საქმეზე,—დღიდან უწყების მიღებისა, რომ გადაწყვეტილება არ შემდგარა; ყველა საქმეებზე, რომელზედაც გამოტანილია გადაწყვეტილება შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის მიერ და იგი გაუქმებულია ზედამხედველობის წესით, დღიდან შემფასაკომის ასეთი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შეტყობინებისა.

რამაა აზრი ხანდაზმულობის ვადების შემოკლები-სა? იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს ორი შეხედულება ამ საკითხის შესახებ: ერთის მიხედვით დანიშნულება ძიებითი ხანდაზმულობისა იმაში მდგომარეობს, რომ აღმოფხვრილ იქმნას განუსაზღვრელი მიმართება, რაც ხელს უშლის სადაო ღირებულების გამოყენებას და აგრეთვე ქონების სარგებლობას საკუთარი სამეურნეო ანგარიშის მიხედვით, მეორის მიხედვით ძიებითი ხანდაზმულობა არის საშუალება, რათა უკუგდებულ იქნას სარჩელი, რომლის დამტკიცება დროს გასვლის შემდეგ სიძნელეს წარმოადგენს. საბჭოთა ლიტერატურაში უკანასკნელი მოსაზრებას არის განმტკიცებული (იხ. პროფ. პაპოვის, გოიზბარგის კობლენცის და სხვ. შეხედულებანი); ამ მოსაზრებას იზიარებს სასამართლოს პრაქტიკაც. უზენაეს სასამართლოს 1927 წლის 15 აპრილის განმარტება, ამბობს: „დათხოვნის უკანონო ცნობისათვის სამოქ. სამარ. კოდ. 44 მუხ. დაწესებული ხანდაზმულობის ვადის შეფარდება—სრულიად შეუფარებელია შრომის საქმეებზე“-ო. უზენაეს სასამართლოს იმავე წლის 21 მაისის დადგენილებაში შემდეგი განმარტებაა მოცემული: „ზედმეტი მუშაობის შესრულების მტკიცება ხანგრძლივი ვადის გასვლის შემდეგ ხშირად ძნელდება და რომ ზედმეტი მუშაობის ისევე როგორც ხელფასის ანაზღაურება უნდა ხდებოდეს მუშაობის ჩატარებასთან დაუყოვნებლივ“. ამიტომ გასაგებია ხანდაზმულობის ვადის შემოკლებაც, რადგან თუ მუშა ან მოსამსახურე ეკონომიურად დაინტერესებულია მოთხოვნათა დაკმაყოფილებაში, ისინი დროზე მოითხოვენ შრომის ჯილდოს.

ახალმა წესებმა სრულიად შეამოკლა ვადები შრომის სფეროში აღმოცენებულ ყველა დავაზე. კანონმდებლის ასეთი ნორმის შემოღება იმაზე დაფუძნებული, რომ ხანგრძლივი ვადის გასვლისას ძნელი ხდება ფაქტიური მდგომარეობის აღდგენა და ძიებათა დამტკიცება, და


ასეთი მდგომარეობა ხელს უწყობს საქმის გაქიანურებას; შემოკლებული ვადის შემოღება კი წარმოადგენს საშუალებას საქმის გაქიანურებისა, უყარათობისა და „ბიუროკრატიულ გადამახინჯებასთან საბრძოლველად“.

სამ. სამ. კოდ. 49 მუხ. მიხედვით სასამართლოს შეუძლია გაუგრძელოს ვადა საფუძვლიანი მიზეზის გასათვალისწინებლად, რომლის აღძვრისათვის გაწვევულია დაწესებული ვადა. აღნიშნული მუხლის ანალოგიის მიხედვით წესების 17 და 52 მუხ. მუხ. ადგენენ: შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას და შრომის საქმეთა სესიას უფლება აქვს განსახილველად მიიღონ ისეთი სასარჩილო განცხადებანი, რომლების ვადა თუმცა გაწვევულია, მაგრამ ასეთი გაწვევას საპატიო მიზეზები ამართლებენ.

მეტად მნიშვნელოვანია წესების 54 მუხ., რომლის დადგენილებით არ დაიშვება საკასაციო წესით განსაჩივრება შრომის სასამართლოს დადგენილებისა შემდეგ პირობებში: ა) ფულადი სარჩელის გამო თანხით არა უმეტეს მუშაკის თვიური ხელფასისა, რაც მუშაკის დათხოვნასთან არ არის დაკავშირებული; ბ) ტაბელის მიხედვით გადახდევინების ვადების შესახებ საქმეებზე, დათხოვნის შემთხვევათა გარდა.

გასულ პერიოდშიც და ეხლაც სასამართლოს წარმოებაში არის მთელი რიგი საქმეებისა, რომლის მნიშვნელობა სახელმწიფოსათვის გაცილებით მეტია, ვიდრე საქმის ფასი. მაგალითისათვის ავიღოთ საქმე, რომელშიაც მშრომელის მოთხოვნა ხელფასის შესახებ უდრის 20—35 მანეთს. თუ მარტივი მატემატიკური გამოანგარიშებით განვსაზღვრავთ მათზე დახარჯულ დროს, ქალაქის ღირებულებას, თანამშრომელთა მუშაობას, უწყებების ჩაბარება, სასამართლოს სხდომა, საკასაციო წესით გასაჩივრება, საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვა, შემდეგ კანცელარიაში სიარული და სხვ. და სხვ. სახელმწიფოს მოუხდება ერთ საქმეზე მეტი თანხის დახარჯვა, ვიდრე სარჩელის ფასი წარმოადგენს.

სასამართლოს წარმოებაში ხშირად იყო საქმეები 8—20 მან. ფასისა, რომელიც რამოდენიმე წლობით ვადადიოდა ინსტანციიდან ინსტანციაში. საკასაციო საჩივრების შეტანა უმთავრესად იმიტომ ხდებოდა, რომ მეურნეობისა და სახელმწიფო დაწესებულებათა ხელმძღვანელთ სურდათ კაზინოური წესით გაემართლებიათ ჩინოვიკური მოპყრობა საქმისადმი და მე-15 პარტიული ყრილობის დადგენილებანი ნაკლებად ტარდებოდნენ ცხოვრებაში. ამიტომ საკასაციო წესით საქმის გასაჩივრების შეზღუდვა მცირე მნიშვნელობის სარჩელებისათვის მეტად მნიშვნელოვანია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეზღუდვა დიდათ აძლიერებს მათ პასუხისმგებლობას. სასამართლომ არ უნდა დაუპირდაპიროს მშრომელთა ინტერესები პროლეტარულ სახელმწიფოს ინტერესებს კლასიური ხაზი არ უნდა იქნას გამრუდებული საქმის გადაწყვეტისას. სასამართლო უნდა ხელმძღვანელობდ კანონმდებლობის ზოგადი საფუძველით. სასამართლო მუშაკებს შორის უნდა გაძლიერდეს და განვითარდეს პასუხისმგებლობის გრძნობა და შეგნება. ამავე დროს უკიროა შრომის საქმეთა სესიებში სათანადო კვალიფიკაციის მუშაკთა შერჩევა და მიღებულ უნდა იქნას ღონის



ძიება შრომის საქმეთა სასამართლოს ქსელის გასაფრთხილებლად. ყოველივე ამას მოითხოვს ახალი კანონი. ახალი წესები ან ხორციელებენ მე-15 პარტიულ ყრილობის რირექტივებს, --, კიდევ უფრო გაძლიერდეს ბრძოლა ჩვენს საორგანიზაციო ნაკლებობებთან, საქმის გაჭიანურებასთან“ და სხვა.

საქმის წარმოება საკასაციო ინსტანციაში სრულიად შეცვლილია. ახალი კანონი მთელ რიგ ნორმებს აწესებს საქმის მიმდინარეობისათვის საკასაციო ინსტანციებში: ა) საკასაციო წესით განსაზღვრება შრომის სესიის დადგენილებისა შესაძლებელია მხოლოდ ერთჯერ. ბ) საკასაციო სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმის არსის მიხედვით.

წესების 56 მუხლი ამ საკითხზე შემდეგ დადგენილებას იძლევა: სათანადო საკასაციო სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმის არსის მიხედვით მისი შრომის სესიის ხელახლა განხილვაზე გადაუცემლად იმ შემთხვევაში: —ა) თუ საქმის ფაქტიური მხარე საქმათ ნათელია, ბ) თუ საქმეზე შეცვლა გადაწყვეტილების მხოლოდ დასაბუთებისა (კანონზე მითითებისა და სხვა); გ) თუ შრომის სესია საქმის ხელმეორედ განხილვის დროს საკასაციო ინსტანციის მიერ ამ საქმეზე მიცემულ მითითებებს არ შეასრულებს, ვ) საკასაციო სასამართლოს უფლება აქვს მოსპოს საქმე უკეთუ მოსარჩელეს არა აქვს სარჩელის უფლება. დ) საკასაციო ინსტანცია მხარეთა საჩივარს ან პროკურატურის პროტესტს დასტოვებს უშუალოდ ან გააუქმებს შრომის სესიის გადაწყვეტილების და გადასცემს შრომის სესიას ხელმეორედ განსახილველად. ზემოთ მოყვანილ დადგენილებიდან (მუხ. მუხ. 55 და 56) ნათელია ის გარემოება, რომ საქმის გადაცემა ხელახლად განსახილველად უნდა მოხდეს ზოგიერთ შემთხვევაში და საკასაციო ინსტანციებმა ხაზი უნდა აიღოს იმ მიმართულებით, რომ მაქსიმალურად იქნეს შემოკლებული გადაწყვეტილებათა გაუქმება, ამისათვის კი საქმეზე აიწიოს 1-ლი ინსტანციის სასამართლოს მუშაობის ნაყოფიერება. თუ შრომის სესია დაარღვევს საკასაციო სასამართლოს მითითებას, უკანასკნელს ამ საქმეზე გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის არსის მიხედვით.

როგორი წესით ხდება შრომის საქმეთა სასამართლოს გადაწყვეტილებათა ასრულება?

ახალი წესების შემდეგ დადგენილებას იძლევა: შრომის საქმეთა სასამართლოს გადაწყვეტილება განსაზღვრული თანხის გადახდევინების შესახებ იმ ნაწილში, რაც მუშაკის თვიურ ხელფასს არ აღემატება, დაუყონებლივ შესრულებულ უნდა იქნას. ყველა დანარჩენ საქმეზე კი გადაწყვეტილების დაუყონებლივ შესრულებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ სასამართლოს სპეციალური დადგენილებით.

სახელმწიფო დაწესებულებისა და სახელმწიფო საწარმოს წინააღმდეგ აღსრულების ფურცლით გადახდევინების მიქცევა სრულიად შეცვლილია; აქამდე არსებული წესით (სამოქ. საპ. კოდ. 287 მუხ.) გადახდევინება არ მიიქცევა ქონებაზე, რაც ეკუთვნის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებას, მაგრამ

უკეთუ ვალს ის არ გადაიხდიდა, გადახდევინებულს უფლება აქვს საჩივარი შეიტანოს. აღნიშნულ მუხლს შემდგომ დაემატა შემდეგი შინაარსის შენიშვნა: უკეთუ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულება არ გაისტუმრებს გადასახდელს შრომის საქმეთა სესიის მიერ გაცემულ ასრულების ფურცლის მიხედვით, შრომის საქმეთა პროკურორი მოახდენს განკარგულებას გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების შესახებ ან აღძრავს დევნას დამნაშავე თანამდებობის პირის წინააღმდეგ სისხ. სამართლის წესით. როგორ ხდება სასამართლოს აღსრულება? სახელმწიფო დაწესებულების მეთაური კანონიერი გზით არასდროს არ ასრულებდა სასამართლოს დადგენილებას, ისინი ზოგიერთ შემთხვევაში ამბობდნენ: „რა არის სასამართლოს გადაწყვეტილება, არ ვიხდით და მორჩა“. — ეხლა კი ეს მეთოდი აღარ გამოდგება.

ამჟამად ახალი წესებით გადახდევინება მშრომელთა და პროფესიონალურ კავშირების სასარგებლოდ მისჯილ თანხებისა საერთო სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებსა და საწარმოსაგან შეიძლება მიქცეული იქნეს არა მარტო იმ სახსარზე, რაც გაღებულია ხარჯთ-აღრიცხვის სათანადო თავისა და პარაგრაფის მიხედვით; არამედ ყველა სხვა თავისა და პარაგრაფის მიხედვით გაღებულ სახსარზე.

ასეთი სისტემა გადახდევინებისა აღმოფხვრის აღსრულების გაჭიანურებას და ხელს შეუწყობს მშრომელთა საქმეების თავის დროზე დამთავრებას.

აქამდე არ იყო ერთიანი პრაქტიკა გადახდევინებულ თანხების უკან დაბრუნებისა მშრომელის მიერ (поворот решения). ამ საკითხზე რუსეთის უზენაეს სასამართლოს მიერ გამოთქმული იყო შემდეგი შეხედულება: შრომის ხელშეკრულების საფუძველზე მისჯილ თანხების უკან დაბრუნება შეიძლება ისეთ შემთხვევაში, როცა გადახდევინება ცნობილ იქნება არა კეთილ-სინდისიერათ და მოსარჩელე სასამართლოს შეიყვანს აშკარა შეცდომაში*). საქართველოში ამ საკითხის ირგვლივ ერთიანი პრაქტიკა არა გვექონდა. მშრომელის მიმართ დაწესებულება ან კერძო პირები სარჩელს აღძრავდა, როგორც სხვის ხარჯზე გამდიდრებული პირის წინააღმდეგ. — მუშა-მოსამსახურენი ვალდებული იყვნენ უკან დაებრუნებიათ უსაფუძვლოთ მიღებული თანხა; მშრომელი ვალდებული იყო აენაზღაურებია ზიანი, რაც შრომის კანონმდებლობით დაუშვებელი იყო.

სამ. სამ. კოდ. 399 და სხვა მ. შრომითი ურთიერთობას (როგორც საერთო წესი) არ შეეფარდება, რამდენათ მშრომელის მიერ ფულადი თანხის მიღება შრომის ხელშეკრულების საფუძველზე არ შეიძლება ჩაითვალოს უსაფუძვლო გამდიდრებათ*). ახალ წესების მიხედვით შემთავსებელ-საკონფლიქტო კომისიის, მომრიგებელ კამერების, სამედიატორო სასამართლოების და შრომითი სესიის გადაწყვეტილებათა ზედამხედველობის წესით გაუქმების შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია დაიბრუნოს მშრომელისაგან გადახდილი თანხები იმ პირობაში, უკეთუ გაუქმებული გადაწყვეტილება დაფუძნებული იყო

*) იხ. კურ. Вопросы Труда № 8—9 28 г.

*) Определ. Верх. суда РСФСР. Вопрос труда 1928 г.

მუშაკის მიერ წარმოდგენილ ყალბ დოკუმენტზე ან მის მიერ მიცემულ ცრუ ჩვენებებზე. წესების 38 მუხ. „დ“ პუნქტის და 44 და 61 მ. მ. შორის ორგანიული კავშირია. სიყალბე დოკუმენტისა და ცრუ ჩვენების მიცემა დადასტურებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის, წესით, სასამართლოს განაჩენით, რაც სავალდებულოა სამოქალაქო სამართლისათვის, იმ შემთხვევაში, როცა ეს სასამართლო განიხილავს სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე სამოქალაქო ხასიათის შედეგს (ს. ს. ს. კ. 13 მუხ.). მაშასადამე არსებობს ორი პირობა მშრომელისათვის მისჯილი თანხის უკან დაბრუნებისა. ამ ორი პირობის გარეშე მუშაკს არ შეიძლება გადახდეს მისჯილი და მიღებული თანხები, ამ შემთხვევაშიც სამომრიგებლო-სამედიატორო და სასამართლოს გადაწყვეტილებანი გაუქმებულია ზედამხედველობის წესით.

პროკურატურის ზედამხედველობა შრომის საქმეთა სესიებზე განისაზღვრება საერთო წესით. პროკურორს რჩება უფლება შეიტანოს პროტესტი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, მაგრამ ასეთი დაიშვება არა უგვიანეს სამი თვის ვადისა დღიდან სათანადო გადაწყვეტილების გამოტანისა და ისიც განსაკუთრებულ შემთხვევებში.

5. ჯინჰარაძე

დამცველთა კოლმზობის რეორგანიზაციის შესახებ ¹⁾

როგორც ხედავს „საბჭოთა-სამართალი“-ს მკითხველი საზოგადოება, დამცველთა კოლეგიის არსებობის ისტორიაში არ ყოფილი არც ერთი საკითხი ისე მწვეთ როგორც დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციაა.

დამცველთა კოლეგიას ანუ ადვოკატურას, თავისი ისტორია აქვს, და სხვადასხვა დროს სხვადასხვა ცვლილება განუცდია; ეს მოვლენა არ არის გასაკვირი იმდენად, რამდენადაც თვით საზოგადოებრივი ცხოვრება იცვლება; იცვლება, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად და კულტურულად, ასე, რომ ყველა ეპოქა თავისას თხოულობს. არსებობდა ისეთი ხანა, როდესაც დამცველი სულ არ იყო, და ხალხი თვით იყო მოსამართლე-შემდეგი ეტაპი იყო როდესაც მხოლოდ და მხოლოდ ახლო ნათესავს შეეძლო დაცვა მისი ნათესავების (რომის ოჯახიდან მამის წარმომადგენლობა) და შემდეგ კი კერძო პირთა წარმომადგენლობა, რომლიდან შეიქმნა კანონის მცოდნე პირთა ცეხები, ამ გვარად ჩვენ ვხედავთ თანდათანობით განვითარებას,—აგრეთვე ამისდა მიხედვით ადვოკატურის კორპორაციაზე სხვადასხვა დროს სხვადასხვა შეხედულება არსებობდა, მაგრამ ერთი გარემოება უდავოდ რჩება, ის, რომ სანამ არსებობს სასამართლო და მხარეთა შეჯიბრის პრინციპი, დამცველი აუცილებელი არის. აქედან შეიძლება ერთი დასკვნა, ის, რომ დამცველთა კოლეგიის კორპორაციამ უნდა იარსებოს.

ამის შემდეგ ისმება საკითხი, რა სახით შეუძლია არსებობა საბჭოთა ხელისუფლების დროს ამ კორპორაციას? ამის შესახებ მიმდინარეობს დისკუსია, ერთნი ამბობენ—ამხ. ვარძიელი, ტალახაძე, გულორდავა და სხვ.

¹⁾ დისკუსიის წესით.

უნდა მოისპოს ინდივიდუალური კლიენტურა. კლიენტი უნდა წავიდეს კოლექტივში—საამისოდ მოწყობილ ბიუროში და ის მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში არ ჩაუფარდეს კერძო დამცველს, მეორენი—გრ. გიორგაძის სახით ეწინააღმდეგებიან ამ აზრს და იცავენ ძველ დამცველთა ორგანიზაციას, ხოლო რეორგანიზაციის პროექტს ადარებს „ნად“-ს.

ჩემი აზრით, თუ აუცილებლობად მივიღებთ დამცველის არსებობას, აქ უნდა შევენოთ ჩვენ მის მიზანს; მიზანი კი, დამცველისა არის სასამართლოს დახმარება და კლიენტის ინტერესის დაცვა, თუ დამცველს ეს ორი ცნება შეგნებული აქვს და თუ ეს გამჯდარია მის აზროვნებაში, მაშინ მისი ავტორიტეტიც დიდია, ცოდნის შეძენისაკენ მისწრაფება იზრდება და მისი მუშაობაც ხალისიანია, და თუ ეს სამი ნიშანი არსებობს, მაშინ კოლექტივიზაცია დამცველთა კოლეგიის კი არ უკლავს დამცველს დაცვის ინტერესს, პირიქით აძლიერებს მას. არ არის სწორი „ნადი“-ს ცნებაზე დამცველთა კოლექტივიზაციის ცნების დაყვანა იმდენად, რამდენად მიზანი ჩვენ მიერ ცნობილი „ნადების“ განსხვავდება დამცველის მიზნისაგან. აგრეთვე იმ მოსაზრებითაც, რომელზედაც მოქ. გრ. გიორგაძე მიგვითითებს, თითქოს კლიენტს ესაზობოდეს თავისუფლად არჩევანის უფლება. კლიენტი მისული კოლექტივში აირჩევს იმ კვალიფიკაციის დამცველს. რომელიც მას სურს და თუ ვინმეს ჰინორარის საკითხი აშინებს, ამაზე ზედმეტია ლაპარაკი, ვინაიდან ჯერ კიდევ არ ვიცნობთ იმ ნიხრს, რომელსაც გამოსცემს იუსტსახკომი. ჩემის აზრით იუსტსახკომის წარმოდგენილი პროექტი კოლექტივიზაციის სისტემაზე გადასვლა ერთხელ და სამუდამოდ მოსპობს საზოგადოებაში იმ პოპულიარულ შეხედულებებს დამცველზე რომელიც ჯერ კიდევ უარყოფით ხასიათისაა. რდგორც სხვა პროფესიის ხალხი, რომლებიც ჯამაგირზე არიან არ ღალატობენ თავიანთ დანიშნულებას, ისე ის ვისაც სურს დამცველის სახელი ატაროს, არ უნდა დაივიწყოს ერთი წუთით თავის დანიშნულება, ვინაიდან დამცველი ემახუტრება ერთი მხრივ, მართალმსაჯულებას და მეორე მხრივ—ხალხს, ხოლო შრომა კი, ამ დანიშნულების შესრულებისათვის უნდა შეფასდეს კოლექტივის მიერ.

დ. კ. წევრი ა. ქორქია.

კერძო დანაშაულის შესახებ ¹⁾

ჟურნალ „საბჭოთა სამართალი“-ს № 18-ში მოთავსებულია ამხ. ივ. სურგულაძის წარილი კერძო დანაშაულის შესახებ.

ავტორი იმ აზრისაა, რომ კერძო დანაშაულის ინსტიტუტი, როგორ ასეთი არ უნდა არსებობდეს; ის უნდა მოისპოს და ყველა დანაშაულს სათანადო რეაქციას უნდა აძლევდეს სახელმწიფოს ერთიანი სასამართლო პოლიტიკა, რადგან მასში არის საჯარო ინტერესი. ჩვენს მიზანს შეადგენს აღნიშნულ წერილში გატარებულ პრინციპიალურ მოსაზრებების განხილვა. უეჭველია რომ საჯარო ინტერესი ყოველ დანაშაულში არის, და განსხვავებით

¹⁾ დისკუსიის წესით.

უცხო ქვეყნების კანონმდებლობისაგან, სადაც დანაშაული განიმარტება ფორმალური მომენტის მიხედვით, ჩვენში ამ მხრივ მატერიალურად არის საკითხი ჩამოყალიბებული:—საზოგადოებრივ საშიშ კმედობათ (დანაშაულად) ჩაითვლება ყოველი მოქმედება ან უმოქმედება, რაც საფრთხეს წარმოადგენს საბჭოთა წესწყობილებისათვის ან არღვევს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ კომუნისტურ წესწყობილებაზე გარდამავალი ხანისათვის, დამყარებულ მართლწესრიგს, მაგრამ ეს გარემოება არ გვაძლევს საბუთს ვსთქვათ თითქოს ყველა დანაშაულში ერთნაირი მნიშვნელობის საჯარო ინტერესი არსებობდეს და ასე თუ ისე რაკი მატერიალური განმარტება გვაქვს მოცემული, საზოგადოებრივად საშიში მოქმედების (დანაშაულის) დახარისხება არ შეიძლებოდა მისი საფრთხიანობის მიხედვით. ყველასათვის ცხადია, რომ სისხლის აღების ნიადაგზე წარმოშობილი მკვლელობა და სიტყვით მოქალაქისადმი შეურაცყოფის მიყენება ერთი და იგივე სოციალური მნიშვნელობის მოვლენები არ არიან და თუ სახელმწიფო მომქმედ საპროცესო კოდექსის მეათე მუხლში აღნიშნულ დანაშაულთა გარშემო, კერძო პირთ აკუთვნებს დევნის აღძვრის ინიციატივას და საჭიროების დროს შერიგების უფლებასაც კი, იმიტომ, რომ უმრავლეს შემთხვევებში ასეთები ნაკლებად სოციალური მნიშვნელობისანი არიან და ამავე დროს წარმოებული სისხლის სამართლის პოლიტიკა ერთობ მიზანშეწონილია. შეუძლებელია, რომ სახელმწიფომ კერძო პირთა ურთიერობაში ყოველთვის უშუალოდ ჩაერიოს; ეს გამოიწვევს სასამართლოების განტვირთვის ნაცვლად, მის დატვირთვას იმ საქმეების ხარჯზედ რომელიც ხშირად ისპობა შერიგებით. მიუხედავად იმისა რომ საპროცესო ნორმა ანიჭებს პროკურატურას უფლებას ყოველ საჭირო შემთხვევებში დამოუკიდებლად დაზარალებულისაგან მიიღოს სათანადო ზომები (აღძვრას და ჩაერიოს საქმეში). და სახელმწიფო თუ მაინც ანდობს საქმის აღძვრის ინიციატივას კერძო პირს (დაზარალებულს) ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ანგარიშს უწყევს ამავე დაზარალებულის ინტერესს, მდგომარეობის სხვანაირად წარმართვა — უეჭველად მართლაც მოუხერხებელი და დაუშვებელია სქესობრივი დანაშაულობა (გაუბათიურობა) ერთობ მნიშვნელოვანია საჯარო ინტერესების თვალსაზრისით მაგრამ რა უყოთ დაზარალებულს, მაშინ, როდესაც მას არ სურს მისი დარი ფაქტის განმარტება, და მის დაუკითხვად, რომ საქმე დაიწყოს მაშინ ხომ ეს იქნება პიროვნების ინტერესის შელახვა.

ამხ. ივ. სურგულაძე თავის მოსაზრებებს ასე ასკენის — „...მიუღებელია, რომ საქმის აღძვრა კერძო პირს ეკუთვნოდეს, რადგანაც 1. მართლმსაჯულება კერძო პირის ნებაზედ ხდება დამოკიდებული 2. დაზარალებულის თაღლითობას ეხსნება გზა 3. დამნაშავეს აქეზებს იმედი, რომ სათანადო რეაქციას გაექცევა. 4. დაზარალებულისათვის ხშირად ზიანი მოაქვს: ა) თუ საჩივრის დრო ვააცდინა საქმე ისპობა ბ) ეშინია ძლიერი მოპირდაპირის და იძულებულია ზოგჯერ აღმაშფოთებელი შეურაცყოფა აიტანოს 5. ხელს უწყობს ხალხში იმ შეხედულების გავრცელებას, რომ სახელმწიფო უძლურია ყველა დანაშაულის დევნაში“.


პასუხი: 1-ზე—კერძო პირის ნებაზედ მართლმსაჯულება არ ხდება დამოკიდებული, მასზედ დამყარებულია მხოლოდ საქმის აღძვრა, მატერიალური ქვეყნობის გამოკვეთვა და საერთოდ მთელი მართლმსაჯულება კი ემორჩილება პროცესის ჩვეულებრივ ნორმებს და ამ რიგად სახელმწიფოს.

II-ზე—დაზარალებულის თაღლითობისაგან არც საჯარო დანაშაულთა საქმეებია სავესებით უზრუნველყოფილი, მას უნდა ებრძოლოს მართლმსაჯულების ორგანოებმა. კერძო დანაშაულის მოვლენებში, კი ამის საწინააღმდეგო შესაძლებელ საშუალებებზედ უნდა იქნეს მიჩნეული მცირე ხანდაზმულობის დაწესება საჩივრის შეტანისათვის; ასეთი განსაკუთრებით ხსენებულ დანაშაულთა პირველი სახეობისათვის ერთი წლიდან 3 ან 6 თვემდე ჩამოყვანით და შერიგების შესაძლებლობა იქ სადაც ეს დაშვებული არის, სასამართლოს განაჩენის გამოსატანად სათანადოთ გასვლამდე, იმ დამატებითი ნოველის მიღებით—რომელიც სასამართლოს ხარჯებს იმ შემთხვევაში თუ დაზარალებულის საჩივარი უსაფუძვლოდ აქნა ცნობილი და ბრალდებული გაამართლეს დააკისრებს პირველს. მომქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სასამართლოსადმი მსგავსი უფლების მამნიჭებელი ნორმა კი როგორც ვიცით არ არსებობს.

მეIII-ზე—იმედი ამა თუ იმ სახით, რომ სათანადო რეაქციას გაექცევა ყოველ დანაშაულის ჩამდენ პიროვნებას აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ ვფიქრობთ ვინმემ მოქმედების გარდაწყვეტილება აიღოს, კერძო დანაშაულებანი კი განსხვავებით იმ დამნაშაითებელი მომენტის შემცველია, რომ მისი მოსპობა არ შეიძლება ს. ს. კ. 14 მუხლით და მაშასადამე ესეც ერთგვარი მოტივია დანაშაულის ჩადენისაგან თავის შესაკავებლად.

IV-ზე—ა) საჩივრის დროს გაცდენას უეჭველად საქმის მოსპობა უნდა მოჰყვეს, დაუშვებელია ხანდაზმულობის განვლის შემდეგ ასეთის აღძვრა, ერთი წლის ან მეტი ხნის შემდეგ შეუძლებელია, ჯერ ერთი, მოწმეებს კმედობის გარშემო სისწორით, რაიმე მოაგონდეს და მეორე, თვით საქმის მიმართაც აღარავითარი ინტერესი არ უნდა არსებობდეს და თუ მაინც და მაინც დაზარალებული საქმის დაწყების მოსურნეა უნდა ვიფიქროთ, საფუძველი მართლმსაჯულებისათვის უცხო და არა საპატიო გრძნობაა. ხანდაზმულობა საქმის დაწყებისათვის პატივცემულმა სურგულაძემ უეჭველად უნდა იცოდეს არა მარტო კერძო პირთათვის არის დაწესებული არამედ სახელმწიფოსათვისაც, ბ) თუ მოპირდაპირე ძლიერია და ის დაზარალებულს აღმაშფოთებელ შეურაცყოფას აყენებს, უკანასკნელი არ არის იძულებული, რომ მსგავსი აიტანოს და შეუძლია მიმართოს სასამართლოს რომელიც დაიცავს მას ყოველგვარ უკანონო გამოსვლებისაგან, მისი დანიშნულება—მოწოდებაც აღნიშნულ შემთხვევაში სწორედ ეგ არის.

V-ზე—საბჭოთა სახელმწიფო აპარატმა თავისი დიდხნის საქმიანობისა და არსებობის პირობებში ურთულეს და უსაშიშროეს დანაშაულობებთან გვემიანი ბრძოლის წარმოებით ნათლად დაამტკიცა, რომ შესწევს საამისო სრული შესაძლებლობა და თქმა იმისა, რომ რაკი



ზოგიერთ დანაშაულთა მიმართ საქმის აღძვრის უფლება კერძო პირს ეკუთვნის, ხელს უწყობდეს ხალხში იმ შეხედულებების გავრცელებას თითქოს სახელმწიფო უძღურია ყველა დანაშაულის დევნაში, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ამრიგად საკითხის ობიექტურ ანალიზს ჩვენ უდაოდ მიეყვებათ კერძო დანაშაულის ინსტიტუტის შენარჩუნების საჭიროებისაკენ. ამას მოითხოვს სისხლის სამართლის გონიერი პოლიტიკა და ჩვენი ყოველდღიური საღი სინამდვილე.

ა. ერქომაიშვილი.

მოკვლევის საკითხები

სისხლის სამართლის დანაშაულთა კვალები

I.

წინა წერილებში ჩვენ აღვნიშნეთ (იხ. „საბ. სამარ.“ № 5), რომ ყველა კვალი, რომელიც სისხლის სამართლის პრაქტიკაში გვხვდება, მათი წარმოშობის მიხედვით განიყოფება სამ ჯგუფად: 1) ადამიანისა, 2) სხვადასხვა პირუტყვისა და 3) უსულო საგნების.

ადამიანის კვალს უპირველეს ყოვლისა ეკუთვნის ფეხების კვალი. უკანასკნელ წლებში დაქტილოსკოპიის განვითარებამ საკმარისად შესაუსტა ფეხების კვალის ანუ ნაფეხურების მნიშვნელობა, მაგრამ ამავე დროს უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ შესაძლებელია ყოველთვის ვერ ვნახოთ სადანაშაულო ადგილზე მნიშვნელობის მქონე თითების ანაბეჭდები, მხოლოდ მეორე მხრივ კი მომკვლევნი ორგანო ვალდებულია შეეცადოს შეძლებისდაგვარად გამოარკვიოს და სისწორით შეამოწმოს დანაშაულის ობიექტიური შემადგენლობა ყველა კვალის შეფასებით, რათა ამით საქმე უზრუნველჰყოს საბედისწერო შეცდომებისაგან. კრიმინალისტი გროსის აზრით პრაქტიკაში კრიმინალისტი ფეხების კვალს იყენებს შედარებით იშვიათ შემთხვევებში სხვადასხვა მიზეზების გამო. უწინარეს ყოვლისა ფეხების კვალი იშვიათად აღმოჩნდება ხოლმე იქ, სადაც სასურველია მათი ნახვა; შემდეგ თუნდაც აღმოჩნდა კვალი ეს უკანასკნელი ნაკლებად მთელი და დამთავრებულია, რაც აძნელებს ნაფეხურებით სარგებლობას. ხანდისხან ნათლად გამოსახულ ფეხების კვალებითაც კი ძნელია სარგებლობა, ვინაიდან შესაძლებელია, რომ დასტოვებს კვალი გარეშე პირებმა, რომლებიც შემდეგში მოვიდნენ სადანაშაულო ადგილის სანახავად.

მიუხედავად ამისა კრიმინალისტიური ლიტერატურა მაგალითებით გვიმტკიცებს, რომ დანაშაულის ჩადენის ან აღმოჩენის ადგილზე ნახულ ფეხების კვალს მაინც აქვს მნიშვნელობა და მათი გამოყენება შეიძლება. ფეხების კვალით შესაძლებელია იმის გამოარკვევა და დამტკიცება, იყო თუ არა ნამდვილად სადანაშაულო ადგილზე ექვმიტანილი. ამის გარდა, ნაფეხურებს შეუძლია გაგვიშუქონ, რა გარემოებაშია ჩადენილი დანაშაული, და დამნაშავე პირის ნიშნები. ამისათვის, სადანაშაულო ადგილის დათვალიერების დროს მეტი ყურადღებით უნდა ვეძებოთ ნაფეხურები.

ამ უამად დამტკიცებულია, რომ:

1. ჰორიზონტალურ ზედაპირზე სიარულის დროს ერთი ფეხის ქუსლის კვალი მოდის სწორედ იმ ხაზის შუაში, რომელიც აერთებს მეორე ფეხის ქუსლის ორ კვალს;
 2. ფეხი მოძრაობის დროს უფრო ღრმა კვალსა სტოვებს, ვიდრე დგომის დროს;
 3. რაც უფრო გძელია ნაბიჯი, მით უფრო ღრმა კვალია;
 4. რაც უფრო გძელია ნაბიჯი, მით უფრო გძელია ფეხის წვერების კვალი, ქუსლის კვალი კი რჩება უცვლელად;
 5. რბენა, სიარულთან შედარებით აღრმავებს კვალს და ადიდებს მათ შორის მანძილს;
 6. რაც უფრო ჩქარა მიდის ადამიანი და მეტად დატვირთულია, მით უფრო განიერია მისი ნაბიჯები; რბენის დროს ნაბიჯის სიგძე აღემატება მეტრს;
 7. მამაკაცის ნორმალური ნაბიჯი 65—90 სანტიმეტრამდეა, მხოლოდ დედაკაცის ნაბიჯის საშუალო სიგძე 50 სანტიმეტრამდეა;
 8. მარჯვენა ნაბიჯი რამდენიმე მეტრა მარცხენაზე (დედაკაცებისა 0,3—0,5 სანტიმეტრით, მამაკაცებისა კი 1—2 სანტიმეტრით); ცაციებს, პირიქით, მარცხენა ნაბიჯი მარჯვენა ნაბიჯზე მეტი აქვთ;
 9. ადამიანის სიმაღლე 6,876 ჯერ მეტია მისი ტერვის სიგძეზე, ე. ი. თითქმის 7 ჯერ.
- ამგვარად ჩამოთვლილი დაკვირვება გვაძლევს შესაძლებლობას ერთგვარი წარმოდგენა ვიქონიოთ იმ პირის არსებით ნიშნების შესახებ, რომელსაც ეკუთვნის კვალი და აგრეთვე იმ პირობებზე, რომელშიაც დატოვებულია კვალი.

II.

ფეხების კვალების გამოცნობა.

მთელ რიგ კვალის შემწეობით შეიძლება განვსაზღვროთ:

- 1) სიარულის ხაზი, 2) ფეხის ხაზი და 3) ნაბიჯის სიგძე.

სიარულის ხაზს მივიღებთ ქუსლების ანაბეჭდების ყველა შუა წერტილების შეერთებით მიმართულების ხაზისადმი (ე. ი. ხაზი, ადამიანის მსვლელობის). სიარულის ხაზი შეიძლება იყოს პირდაპირი, როდესაც იგი მიმართულების ხაზს ხვდება და ტეხილი, როდესაც მსვლელის ქუსლები არ ხვდებიან მიმართულების ხაზს, ხოლო მხარს უქცევენ მარჯვნივ ან მარცხნივ. სიარულის ხაზი იმის მაჩვენებელია, რომ კვალები ეკუთვნის ნორმალურად მავალ ადამიანს, მხოლოდ ტეხილი გვიჩვენებს, რომ მავალი სიარულის დროს განზე სდგამდა ფეხებს წაქცევისაგან თავის ასაცილებლად. სიარულის ტეხილი ხაზი აქვთ მოხუცებულებს, ძალიან სრულ, გასუქებულ ადამიანებს, ორსულ დედაკაცებს, მოუხეშავ, ზანტ ადამიანებს, ტვირთმზიდველებს, მეზღვაურებს და ცხენოსნებს; უკეთუ ხაზი პირველად პირდაპირია და შემდეგ კი რომელიმე ნაწილში იტეხება და ხდება ტეხილი, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი ამ ადგილას აიღო მძიმე რაიმე ტვირთი; მხოლოდ როდესაც ტეხილ ხაზს დიდი კუთხეები აქვს და

უერთდება სიგძით უსწორო-მასწორო ნაბიჯს, ხან დიდს და ხან პატარას, მაშინ შეიძლება დაუშვათ, რომ მსვლე-ლი იყო მთვრალი ან მძიმედ დაჭრილი.

ფეხის ხაზი იქნება ის პირდაპირი ხაზი, რომელიც შეადგენს ტერფის გასწვრივ ღერძს (ჰყოფს ტერფს შუა-ზე). კუთხეს, რომელსაც ფეხის ხაზი აკეთებს მიმართუ-ლების ხაზთან, ეწოდება „ფეხის ანუ კვალის კუთხე“, ფეხის კუთხე გვაძლევს წარმოდგენას ადამიანის ჩვეულებაზე სვლის დროს, ფეხის კუთხე ადამიანს დაახლოებით ყოველთვის ერთი და იგივე აქვს და გადმობრუნება ან შებრუნება წვერებისა დამოკიდებულია ტერფის აგებულო-ბაზე და ნაწილობრივ ფეხების დადგმის ჩვეულებაზე. მაგალითად, ადამიანი პრეტელი და განიერი ტერფით ფეხებს ყოველთვის გარეთ აბრუნებს. ფიზიკური და საერთოდ მძიმე შრომის მუშა ფეხების ტერფებს სდგამს სწორეთ ან წვერებითაც კი შიგნით. ქალები და ბავშვები სვლის დროს ფეხებს სდგამენ სწვრივად და კიდევაც ცოტათი შიგნით. წვერების ძლიერი შებრუნება მოწმობს უკვე ფეხების გაბრუნებას, განსხვავება ორთავე ფეხის კვალის კუთხეებს შორის გვიჩვენებს ფეხის დაზიანებას,

გარდა ამისა ზოგიერთ პირობებსაც აქვთ გავლენა ფეხის კუთხეზე: მაგა უითად, ახალსა ან ვიწრო ფეხსაცმელს, გლუვი და მოლიპული ნიადგას რომელზედაც მიმავალი ადამიანი ცდილობს სიმაგრისათვის ფეხები დადგას სწორათ, თუნდაც რომ მიჩვეული იყოს წვერების გადმო-ბრუნებას სვლის დროს, ტვირთს, რომლის მიმქონი, რომ არ დაეცეს, ფეხებს ყოველთვის სდგამს სწორათ, ფეხების გადმობრუნების დროს გარეთ ფეხი ეყრდნობა ფეხის გულის გარეთა ნაპირს, ფეხების დადგმის დროს სწორათ ან წვერებით შიგნით ფეხი ეყრდნობა უფრო ფეხის გულის შიგნითა ნაპირს.

ამ ადგილებში ფეხსაცმელის ძირის ვაცვითის მიხედვით შეგვიძლიან გამოვარკვიოთ თუ როგორ სდგამდა ესა თუ ის ადამიანი ფეხებს სვლის დროს.

ნაბიჯის სიგძედ მიიღება მანძილი ფეხის ერთი ანაბეჭდიდან მეორემდე, ვიანგარიშებთ რა ერთი ქუსლის შუადან მეორის შუამდე. ნაბიჯის სიგრძის მიხედვით დაახლოებით შეიძლება მსჯელობა ადამიანის ტანის სიგძე-ზედაც, მეტად მაღალი ტანის ადამიანი ჩვეულებრივ უფრო გძელ ნაბიჯებს აკეთებს. მაგრამ ხშირად ეს დამოკიდებულია აგრეთვე მსვლელობის სისწრაფისაგან, მდგომარეობისაგან და ჩვეულებისაგან: გაქცევის (სირბილის) დროს ნაბიჯი, განსაკუთრებით მამაკაცის, მატულობს და ერთი მეტრის სიგძეს აღწევს მოხუცი და ავადმყოფი წვირალ ნაბიჯებით დადის ის, როგორც ზოგიერთი პირები თავიანთ პროფესიით მიჩვეულნი არიან სიფრთხილით სიარულს, მაგ., მონადირენი. დიდ ნაბიჯებს აკეთებენ ჯარში დიდი ხნის ნამსახური პირები, მიწის მზომელები, რკინის გზის მოსამსახურენი.

უკეთეს სხვადასხვა სიგძის ნაბიჯებია, ე. ი. ერთი ფეხის ნაბიჯი მოკლეა, მეორე გძელი, მაშინ შეიძლება დაუშვათ, რომ მსვლელი იყო კოჭლი; ამასთანავე უკანა ანაბეჭდი უფრო გძელი ნაბიჯისა ეკუთვნის ავადმყოფ ფეხს. უკეთეს ერთნაირ ნაბიჯების რიცხვში გვხვდება ერთი მეტად მოკლე ნაბიჯი, მაშინ ეს ნიშნავს იმას, რომ

მსვლელს სურვილი ჰქონდა მოეწყო, გადაენბიჯებინა რომელიმე განსაზღვრულ ადგილისათვის; მაგალითად, გუბესთვის და სხვა.

III.

კვლების განთვისებულებანი.

ადამიანის გაჩერებას კვლებით გავიგებთ იქ, სადაც ორი ნაფეხური, მარჯვენა და მარცხენა, ერთი მეორის გვერდით მოხვდებიან. დამნაშავენი ხშირად განზრახ სტოვებენ ფეხის ანაბეჭდს, რომ აურიონ გზა და კვალი სამძებრო ორგანოებს. იმავე მიზნით დამნაშავე იცვამს ფეხსაცმელს უკუღმა და ჰკრავს მას თოკით, ან იცვამს ფეხსაცმელს საკმაოდ დიდი თუ პატარა ზომისას, ვიდრე ფეხი აქვს. ამგვარი მოტყუება გამოიწვობა იმით, რომ კვალის ზომა არ შეეფერება ნაბიჯის სიგძეს, მაგალითად, ქალის ფეხსაცმელის ანაბეჭდი მამაკაცის დიდ ნაბიჯს, სვლა არა აქვს მტკიცე, ძალიან დიდ ფეხსაცმლის გამო ფეხების თრევისაგან მიწაზე ემჩნევა ზოლები და სხვ. გარდა ამისა, ფეხების თრევისაგან ზოლები წარმოსდგებიან კიდევ იქიდან, რომ მსვლელი იყო მოხუცებული, ავადმყოფი ან ძლიერ დაღლილი ან და საერთოდ მას ჩვეულებად ჰქონდა ფეხების თრევა სვლის დროს.

IV.


შიშველა ფეხების კვალი.

ვინაიდან ფეხშიშველა სიარული, განსაკუთრებით ზაფხულში, ჩვეულებად აქვს სოფლის მოსახლეობას, ამისათვის სოფლად დანაშაულის ადგილზე უფრო ხშირად შეიძლება შეგვხვდეს შიშველა ფეხების კვალი. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში დანაშაულის წინ დამნაშავენი განგებ იშიშველებენ ფეხებს იმ მოსაზრებით, რომ არ შეჰქმნან ხმაურობა, არ გაისისხლიანონ ფეხსაცმელი, არ დასტოვოს მისი კვალი და სხვ. შიშველა ფეხების კვლები გარკვევითაა ხოლმე მაგარ, გამტვრიანებულ ზედაპირზე და რბილ ნიადაგზე.

აღწერავს რა შიშველა ფეხების კვალს პროფესორი რეისი არჩევს: 1) ტერფის წინა ნაწილს, ბევრად თუ ნაკლებად მისგან ცარიელ სივრცით განცალკევებულ თითებით, 2) შიდა, თალივით მოღუნულ, ტერფის ნაპირს, 3) ტერფის გარეთა ნაპირს და 4) ქუსლს.

ტერფის ფორმის მიხედვით არჩევს ფეხების სამ ტიპს: 1) ფეხს მაღალი ახმით, 2) ფეხს საშუალო ახმით და 3) პრეტელ ფეხს.

სრული ნაფეხური იმ სახით, როგორც ასწერს პროფესორი რეისი, რჩება ხოლმე მხოლოდ ადამიანის დგომის დროს და რბილ ნიადაგზე; სვლის დროს-კი, ნიადაგის სირბილის დაგვარად, აიბეჭდებიან კვალის ნაწილები, სახელდობრ: 1) გარეთა ნაპირი ტერფისა მთელ სიგძეზე, 2) ტერფის შიდა ნაპირის ნაწილები, რომელნიც უფრო ახლოს არიან დიდ თითთან და ქუსლთან, 3) ტერფის წინა ნაწილი თითებით, დგომის დროს თითები იძლევიან მრგვალ ანაბეჭდს, მხოლოდ მოძრაობის დროს — მოგრძობებს, რაც განსაკუთრებით მოსჩანს დიდი თითის ანაბეჭდზე. შიშველა ფეხის კვალის ზომა დამოკიდებულია, რამოდენიმეთ, ნიადაგზე და ტემპერატურაზე: ესე,



მაგალითად, მაგარ ნიდაგზე იგი რამდენიმეთ ტერფის ზომაზე დიდია, განსხვავება 20 მილიმეტრამდეა, ფეხის გაჩაჩხვით თოვლზე დაწოლის გამო, პირიქით, კვალი ტერფზე პატარაა. უკანასკნელი გარემოება აიხსნება იმით, რომ სიცივისაგან ფეხი იკრუნჩხება.

V.

როდის არის კვალი დატოვებული.

ამისათვის უნდა მიექცეს ყურადღება ამინდის ცვალებადობას. უკეთუ, მაგალითად, წვიმა დაიწყოს საღამოს 12 საათზე და ოთახში ნახულია ქუქუციანი და სველი წალების კვალი, ცხადია, რომ იგი დარჩენილია 12 საათის შემდეგ, რადგანაც ადრე წალები მშრალი და სუფთა უნდა ყოფილიყო. ღრმად გაკეთებულ ნაფეხურების მიხედვით შეიძლება დაუშვათ, რომ ანაბეჭდი დატოვებულია წვიმის შემდეგ, რომელმაც (წვიმამ) საკმარისათ გაარბილა მიწა, ან დაყინვის დაწყებამდე, რადგანაც ყინვის დაწყებისთანავე ნიდაგი გამაგრდა. თოვლზე გაკეთებულ ნაფეხურებით შეიძლება განვსაზღვროთ დრო მისი დატოვებისა, ე. ი. დატოვებულია იმ დროს, როდესაც მოდიოდა თოვლი, თუ შემდეგ; დნებოდა იმ დროს თოვლი თუ ჰყინავდა. უკეთუ პირვანდელი კვალები დაფარულია სხვა კვალებით ან დატყენილია, მხოლოდ ვიცი თუ ვინ და როდის გაიარა უკანასკნელად, მაშინ შეიძლება, დაახლოებით მაინც, პირვანდელ კვალების დატოვების დროს განსაზღვრა.

დ. მირიანაშვილი.

(გაგძრელება იქნება).

სასამართლო და სხოვრება

სასამართლო აღმასრულებელთა აპარატის რაციონალიზაციის შესახებ¹⁾

როგორც სასამართლოების გამოკვლევამ ნათელყო, საქმის სასამართლოს სხდომიდან მოხსნა-გადაღება უმეტეს შემთხვევაში გამოწვეულია ადრესატისათვის უწყების ჩაუბარებლობის გამო, რის მიზეზი გამომდინარეობს, უმთავრესად, ამჟამად არსებულ უწყების ჩაბარების წესებიდან. უწყებას აბარებს მილიცია და თემალმასკომები სოფლის რწმუნებულების მეშვეობით. როგორც პირველი, ისე მეორე ძალზე დატვირთულია მუშაობით და ამიტომ მოკლებულია საშუალებას სათანადო ყურადღება მიაქციოს უწყების ჩაბარების საქმეს. მეორეს მხრივ, ის ცალკე პირები, რომლებიც უშუალოდ აბარებენ უწყებას საკმაოდ ვერ არიან გაცნობილნი იმ წესებთან, რომელნიც საპროცესო კოდექსის მოთხოვნებისამებრ დაცული უნდა იქნეს უწყების ჩაბარების დროს რის გამო ფაქტიურად ჩაბარებული უწყება, ხშირად, სასამართლოს არ შეუძლია ჩასთვალოს ჩაბარებულად და იძულებული ხდება გადასდოს საქმე. მაგალითად, ხშირია შემთხვევა, როდესაც უწყების ნაჭერის იმ ადგილზე სადაც ხელმოწერილი უნდა იყოს დასმულია ჯვრები, ხოლო არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის ეს ნიშნები. ან კიდევ:

№ სახელზე გამოწერილ უწყებაზე ხელს აწერს ვინმე „ნ“ და მეტი არაფერი. უწყების ჩაბარებელი სდუმს იმის შესახებ, თუ ვინ არის ეს „ნ“ და რა დამოკიდებულება აქვს მას ადრესატთან. გარდა ჩამოთვლილისა, უწყების ჩაბარების საქმეში სხვა დეფექტებიცაა რომელიც ძალზე აფერხებს სასამართლოს მუშაობას და იწვევს საქმის გადაღება-გაქიანურებას. დაახლოებითი გამოანგარიშებით სასამართლოს წარმოებაში მყოფ საქმეებიდან თითო საქმეზე საშუალოდ მოდის 1,01 ჯერ გადაღება.

კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშია სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების საქმე. მომქმედი წესის თანახმად აღმასრულებელ ფურცლის რეალიზაცია დაკისრებული აქვს სასამართლოს აღმასრულებელს, მაგრამ ვინაიდან მცირე თანხის ფურცლების გასანაღებლად, რომელიც უმთავრესად ეკუთვნის ნაკლებად შეძლებულ მოსახლეობის ნაწილს, შორეულ რაიონებში გაგზავრება იწვევს შედარებით დიდ ხარჯებს და მძიმედ აწვევა მხარეთა ჯიბეს, კანონით დაშვებულია სათანადო შემთხვევებში აღსრულება დაეკისროს მილიციას ან თემალმასკომს, ე. ი. ისეთ ორგანოებს, რომელნიც, გარდა იმისა, რომ დატვირთულნი არიან მუშაობით, ძალზე ცუდათ იცნობენ გადახდევინების წესებს და ტენიკას. ამით აიხსნება რომ მილიციის ორგანოებში დაგროვილ ფურცლების განაღდებას აგვიანდება არამც თუ თვეები არამეუ წლობითაც და ეს გარემოება მნიშვნელობას უკარგავს სასამართლოს მუშაობას და სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მოსახლეობაში. ასეთ პირობებში პრემიალური სისტემაც ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, რადგანაც მცირე თანხის ფურცელზე პროცენტულ მცირე და უმნიშველოა და მაშასადამე, ამ სისტემის წაქეზიანების როლიც პროპოციონალურად მცირდება. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჟამად არსებული უწყების ჩაბარების და აღმასრულებელ ფურცლის რეალიზაციის სისტემა ნახევრადაც ვერ აკმაყოფილებს მომენტის მოთხოვნილებას და დროულად უნდა ჩაითვალოს საკითხის დასმა არამც თუ მისი გაუმჯობესების, არამედ მთლიანად სხვა სისტემით შეცვლის შესახებ. საკითხი უნდა დაისვას იმ მიმართულებით რათა ეს ორი ფუნქცია დაეკისროს მხოლოდ ერთ აპარატს, რომელიც მთლიანად თავისუფალი იქნება სხვა მოვალეობიდან და უშუალოდ დაექვემდებარება იუსტიციის ორგანოებს. მხოლოდ ასეთ პირობებში გახდება ტენიკურათ შესაძლებელი აპარატზე კონტროლის და ინსტრუქტაჟის განხორციელება, რასაც ამ ჟამად თითქმის სრულიად მოკლებულია მილიციის თანამშრომლები, ვინაიდან სასამართლო უბანში მილიციელების ცალკე განსაზღვრული რიცხვი კი არ არის ამ საქმეში ჩაბმული, არამედ ამათ ასრულებს მილიციის ყველა მუშაკი. ამასთან ერთად უნდა მოისპოს სასამართლოს აღმასრულებელთა დაჯილდოების პრემიალური სისტემა და უნდა გადავიდეთ ხელფასის მტკიცე განაკვეთზე, ამ სისტემის დადებითი მხარეები ვერ ფარავენ უარყოფითი მხარეს. საკმაოა მართო იმის აღნიშვნა, რომ აქ დასაშვებია ნაკლები ყურადღება მიექცეს მცირე თანხის ფურცლებს, ე. ი. ისეთ ფურცლებს, რომლის მეპატრონენი უმთავრესად არიან ნაკლებად შეძლებული მოსახლეობა,

¹⁾ დისკუსიის წესით.

ვიდრე დიდი თანხისას. რომ ეს ასეა ამას გვიდასტურებს ჩვენ ის გარემოება, რომ ზოგიერთ რაიმილიციის სამმართველოებში თვეების განმავლობაში ათეული ფურცლები ყრია უმოძრაოთ.

სტატისტიკური ცნობები.

თუ რამდენი სასამართლო უბანი არის მაზრებში მათი რადიუსის და მცხოვრებთა რაოდენობის აღნიშვნით ამას გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი*).

№.წ. რიგზე	მაზრის დასახელება	უბნის რაოდ. მაზ. თემთა რაოდენობა უბან. საშუალოდ		მცხოვრებთა რიცხვი უბანში	სოფრულ აკად. ვერსებში	რადიუსი	თვეში საშუალოდ შემოდის 1 უბანში		შენიშვნა:
		სისხლის საქმე	სამოქ. საქმე						
1	ქ. ტფილისი	5	21	19000	—	198	160	1)	ქ. თბილისში სახალხო სასამართლოს 5 უბ. გარდა მოქმედებს ქალაქის მასშტაბით ერთი საბინაო და ერთი შრომის სახალხო სასამართლოები;
2	ფტილ. მაზ.	8	4	20000	665	15	39	68	2) ქ. ქუთაისში მოქმედებს სახ. სასამართლოს სამი უბანი, ორი მღებშიდაც ქ. ქუთაისის თითო ყოფ. სამილიციო უბანთა გარდა შედის თემებიც და სახ. სასამართლოს შრომის საქმეთა სესია ქალაქის და ტყიბულის სამრეწველო რაიონის მასშტაბით.
3	გორის „	6	4	35000	691	15	150	109	
4	დუშეთ. „	2	7	32000	1906	25	30	70	
5	თელავ. „	4	4	26000	972	18	41	130	
6	სიღნაღ „	4	7	37000	1331	24	57	116	
7	ბორჩა. „	3	6	29000	867	17	34	66	
8	ახალკ. „	2	6	47000	1154	20	53	59	
9	ახალქალ.	2	5	40000	1194	20	38	76	
10	ქ. ქუთაისი			15000	—	—	121	79	
11	ქუთაის. მაზ.	9	5	42000	513	13	49	74	
12	შორაპნ. „	5	6	38000	486	12	39	42	
13	რაჭის „	3	8	22000	697	15	33	46	
14	ლეჩხუმ. „	3	4	16000	053	14	51	53	
15	სენაკის „	2	14	42000	606	18	56	108	
16	ზუგდიდ. „	4	7	25000	452	12	26	102	
17	ოზურგ. „	3	9	27000	439	14	51	100	
18	სვანეთის „	2	6	6000	1328	24	9	15	
19	ქ. ფოთი „	1	3	14000	—	—	27	131	

ამრიგად, როგორც მოყვანილ ციფრებიდან ჩანს აღმოსავლეთ საქართველოში ერთ სასამართლო უბანს საშუალოდ უჭირავს 960 კვ. ვერსი სივრცე 19 ვერსიანი რადიუსით და 33,250 სული მოსახლეობით, ხოლო დასავლეთ საქართველოში—583 კვ. ვერსი სივრცე 15 ვერსი რადიუსით და 24,700 სული მოსახლეობით. მაზრაში მოქმედ თითო სახალხო სასამართლოში თვეში საშუალოდ შემოდის 50 სისხლის და 80 სამოქალაქო საქმე.

გარდა ამისა, რესპუბლიკაში სულ არის 54 საგამომძიებლო უბანი, აქედან 14 ტფილისში და დანარჩენი 40 მაზრებში. თითო უბანში თვეში საშუალოდ შემოდის 10 საქმე, მაშასადამე, მაზრებში მოქმედ 40 საგამომძიებლო კამერებში თვეში შემოვიდა სულ 400 საქმე.

პროვინციაში უბნის სახალხო სასამართლოსთან არსებობს სარაიონო საადგილ-მამულო სასამართლო კო-

ლეგია, სადაც თვეში საშუალოდ შემოდის 7 საქმე, ყველა კოლეგებში კი სამოცჯერ შეიდი ანუ 420 საქმე. აქვე უნდა აღინიშნოს სამაზრო სასამართლოების ქვემდებარე საქმეთა მოძრაობა. თითო სასამართლოში თვეურად შემოსულ საქმეთა რაოდენობა საშუალოდ უდრის 27, აქედან 22 სისხლის სამართლის და 5 სამოქალაქო. ამრიგად, თორმეტივე სასამართლოში თვეში შემოდის 264 სისხლის და 60 სამოქალაქო ანუ სულ 324 საქმე. მოყვანილ ცნობების შეჯამება იძლევა შემდეგ სურათს.

სასამართლო უბნის მცხოვრებთა რიცხვი საშუალოდ უდრის 28.500

ხოლო თემთა რაოდენობა.	6
ტერიტორიალური სივრცე რადიუსი	921 კვად. ვერსს 17 ვერსს.
მაზრებში მოქმედ (ტფილისის სასამართლოებზე (კალკე), თითო სასამართლო ერთეულში და საგამომძიებლო კამერაში თვეში საშუალოდ შემოდის 174 საქმე.	
აქედან	
სისხლის სამართლის	82 „
სამოქალაქო	92 „
სამოქალაქო საქმეთა საერთო რაოდენობიდან სარჩელის თანხის მიხედვით საშუალოდ შემოდის:	
10 მანეთამდე	14 საქმე.
10 მანეთიდან 50 მანეთამდე	25 „
50 „ 100 „	11 „
100 „ 200 „	5 „
200 „ 300 „	2 „
300 „ 500 „	2 „
500 „ 1000 „	1 „

თუ აქედან გამოვალთ იმ 14 საქმეს, რომლის ძიება არ აღემატება 10 მანეთს, ე. ი. ისეთ სარჩელს, რომელიც სრულიად განთავისუფლებულია ყოველგვარ ხარჯებისაგან, დაგვრჩება 46 ისეთი საქმე, რომელზედაც დაწესებულია სასამართლოს ბაჟი და სხვა სახის გამოსაღები. გარდა ამისა, სასამართლოში ყოველთვიურად შემოდის საშუალოდ 14 საქმე, რომელიც თუმცა ეკუთვნის არა ქონებრივ ხასიათის საქმეთა კატეგორიას, მაგრამ იბეგრება სხვადასხვა გამოსაღებით. მაშასადამე თვეურად შემოსულ იმ საქმეთა რაოდენობა, რომელზედაც დაწესებულია სასამართლოს ბაჟი და სხვა გამოსაღები საერთოდ უდრის 60. ამჟამად მოქმედი კანონით სამოქალაქო საქმეზე ჩასაბარებლად თითო უწყებაზე მაძიებელმა უნდა გადაიხადოს 15 კაპიკი. ამ რიგად, თვეითეულ სასამართლოში შემოსულ უწყების ჩაბარებისათვის გადასახდელი გასამრჯელოს რაოდენობა თვეში უდრის 9 მან. ხოლო წელიწადში კი 108 მან. ეს ერთ სასამართლოში. რაც შეეხება მაზრებში მოქმედ 63 სასამართლო ერთეულში წლიურად შემოვა 6.800 მანეთი.

(გაგრძელება იქნება).

თ. შავიშვილი.

*) აღებულია მრგვალი ციფრები.

მე-3-ე უბნის სასამართლო და მისი მუშაობა 1927 წლის 1-ლი მარტიდან 1929 წლის 1-ლ ოქტომბრამდე.

სასამართლოს რაიონი

სასამართლო ემსახურება ქალაქის აღმოსავლეთ-სამხრეთის განაპირა რაიონს სახელდობრ: ავლაბარს. ნავთლულს, რკ. გზის გადაღმა მოსახლეობას, თათრის მოედანს, ორთაქალას, კრწანისს და ნაწილობრივ მის ახლო მდებარე რაიონებს. ეს რაიონები ითვლება ერთ-ერთ დაქსაქსულ და თავისი მანძილით დაშორებულ რაიონად. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ დაქსაქსულ რაიონისათვის სასამართლოს უნდა ექიროს დაახლოებით საშუალო ადგილი ზემოდ ნაჩვენებ რაიონისა, ასე რომ მანძილმა მოსახლეობა არ უნდა შეაშინოს სასამართლოში მისამართავთ, მაგრამ სასამართლოს შენობა მოთავსებულია 19 თებერვლის ქუჩაზე, ე. ი. იმ რაიონში, რომელთანაც სასამართლოს არავითარი დამოკიდებულება თავისი ყოველ დღიურ საქმიანობით არა აქვს. ამას მიუმატოთ კიდევ სპეციალურად სამხედრო დანაშაულობანი, რომლებიც მიკუთვნებული აქვს ქ. ტფილისში მხოლოდ მე-3 უბნის სახალხო სასამართლოს, გარდა სამხედრო ტრიბუნალზე ქვემდებარეობისამებრ კუთვნილ საქმეებისა. იყო რამდენიმე შემთხვევა საყვედურისა სასამართლოს სიშორისა გამო მოსახლეობის მხრივ, რისთვისაც სასამართლოს ადმინისტრაციამ დასვა საკითხი, როგორც აღმასკომში, აგრედვე იუსტსაკომში შენობის ან კახეთის მაედანზე დათმობის შესახებ, ან და შენობის გადაცვლის შესახებ მაგრამ ეს საკითხი საბოლოოდ არ არის ჯერ კიდევ მოგვარებული.

სასამართლოს ბიუჯეტი და შტატი

1927—28 წლისათვის გათვალისწინებული იყო ხარჯება ბიუჯეტით 15,800 მანეთი. ეს თანხა საესებით ამოწურულ იქმნა საბიუჯეტო წელში, ხოლო მომავალი წლისათვის კი ხარჯების შემცირების მიზნით ეს საკონტროლო ციფრი დაწეულია 548 მანეთით. თანამშრომელთა რიცხვი უდრის 16 კაცს, მათში ორი მოსამართლე—პარტიის წევრები, დანარჩენი კი ტეხნიკური თანამშრომლები 14 კაცი, რომელთაგან კომკავშირელია 2. დანარჩენი კი უპარტიონი. მოსამართლეთაგან ერთი არის დაწინაურებული მუშა, მეორე კი ინტელიგენტი. ტეხნიკური პერსონალის მუშაობა და უნარიანობა საშუალოა.

გაფლანგვა სასამართლოში

1928 წელს—აპრილში მესამე უბნის სასამართლოში მოხდა რევიზია საქ. ფინსახკომის საკონტროლო სამმართველოს მიერ, სადაც უფროს მდივანს აღმოუჩინეს გაფლანგვა დაახლოებით 2000 მანეთამდე. დაზნაშავე გასამართლებულია სამაზრო სასამართლოს მიერ.

სასამართლოს სამოქ. საქმეთა მოძრაობა

1927 წლის 1-ლი მარტიდან 1928 წლის 1-ლ ოქტომბრამდე სამოქ. საქმე შემოვიდა—1895. ძიებათა ხასიათის მიხედვით ეს რაოდენობა საქმეებისა განიყოფ-

ბოდნენ შემდგენაირად: კერძო ხასიათის—1398, საალიმენტო—227, სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და სამეურნეო—270. არსებითათ შემოსულ საქმეთა საერთო რიცხვიდან მოსმენილია—1081, მოსპობილია 302 და შეჩერებულია—199, დანარჩენი კი წარმოებაშა. ყველა ეს საქმეები გარჩეულია 301 სხდომაზე.


აოსებითად განხილულ საქმეებიდან უზენაეს სასამართლოში კასაციის წესით წასულია 123 საქმე, მათგან კერძო—77, საალიმენტო—29. სახელმწ. კოოპ. საზოგ. და სამეურ.—17. კასაციაში გადაგზავნილ საქმეებიდან 25 გაუქმებულია რაც შეადგენს გადაგზავნილ საქმეების 26 პროც. და რაც უნდა ჩაითვალოს სასამართლოს მუშაობის ნაკლად.

შემოსულ საქმეთაგან 1-ლ რიგში ირჩევა საალიმენტო, რომელიც გრძელდება დაახლოებით ერთი თვე და ხუთი დღე. შემდეგ მიდის სახელმწიფო და კოოპ. და უკანასკნელათ კი კერძო. საქმის მსვლელობის ხანგრძლივობის დრო არის 2—3 თვე.

საქმეების ხშირი გადადების უმთავრეს მიზეზათ თვით მოსახლეობის სხდომაზე გამოუცხადებლობა უნდა ჩაითვალოს, მიუხედავად უწყებების ჩაბარებისა. შემდეგი მიზეზი კი გამოიხატება საქმეში მონაწილე პირთა მოუძებნელობისა ან და უწყებათა დროზე ჩაუბარებლობის გამო, მსაჯულთა გამოუცხადებლობის გამო და სხვა. საერთოდ სამოქალაქო საქმეებში არიან ისეთი საქმეები, რომლის გარჩევა უნდა სწარმოებდეს სასამართლოს გარეშე სხვა ორგანიზაციების საშუალებით, როგორც მაგ. დაბადების წელის დადასტურება, სიღარიბის ცნობა და სხ.. მომავლისათვის საჭიროა ასეთი საქმეებისაგან სასამართლოს განტვირთვა და გადაცემა სათანადო ორგანოებზედ.

სისხლის სამართლის საქმეთა მოძრაობა

საანგარიშო პერიოდში სულ შემოვიდა 2.485, ხოლო 1-ლ მარტისათვის გადმოსული იყო 1093, ამათში არსებითად მოსმენილ იქმნა 856, მოისპო 2362, შეჩერდა წარმოებით 111, გაეგზავნა სხვადასხვა ორგანოებს 53 საქმე. შემოსული საქმეები დანაშაულობრივი ხასიათით შემდგენაირად იყოფა: გაფლანგვები—67, ქურდობა—508, სამხედრო დანაშაული—575, შეურაცხყოფა—1522, ხულიგნობა—95, მითვისება—28. წარმოდგენილ ციფრებიდან ურადლებას იქცევს მოსპობილ საქმეთა რაოდენობა რაიც აიხსნება, მით რომ მხარეები რიგდებიან უმეტეს შემთხვევაში და დანაშაულობა თავისი სიმცირით არ არის საყურადღებო. შეურაცხყოფათა საქმის სიმრავლე აიხსნება მით, რომ უბრალო ხმა-მალლა ლაპარაკისათვის ურთიერთ შორის მოქალაქენი მიმართავენ სასამართლოს თავიანთი უფლებათა დასაცავად და აღსადგენად. ეს ერთგვარი ნდობა არის საბჭოთა სასამართლოსადმი. ხულიგნობის რიცხვის სიდიდე აიხსნება მით, რომ თვით რაიონს აქვს ისეთი ხასიათი, სადაც თავს იყრის ყოველი გვარის და ჯურის მოქალაქენი, ჯარეთვე გამეფებულია ლოთობა, რის შედეგად უმთავრესად ვლდებულობათ ასეთ დანაშაულს. დანაშაულობათა სუბიექტები, გარდა ქურდობის, არიან უმთავრესად შშრომელი, რომელთა



შორის საჭიროა აღმზღედლობითი მუშაობა, საკლებო მუშაობა და სხ. რომელთა საშუალებით უნდა ბოლო მოეღოს მშრომელთა შორის ასეთ დანაშაულობას.

არსებითად განხილულ საქმეთაგან განსაზღვრებული იყო 231 საქმე. დამტკიცებულ იქნა 206 და გაუქმებული იქნა და გადმოცემული ხელახლად განხილველად 25. საშუალო ხანგრძლივობა საქმეთა განხილვისა არის ორი—ორ ნახევარი თვე. ხოლო საპატიმრონი კი განსახილველად ინიშნება ორ-სამი კვირის განმავლობაში. საჯარო სხდომა იყო 324, გამწესრიგებელი სხდომა კი—106.

მოსამართლენი შედიან წევრებად მეთვალყურე კომისებში—ც. გამსახლში, სპეც. დანიშნულების იზოლია. ტორში და საჯარო გუნდებში (სამხედრო), სადაც ინილება პატიმართა საქმეები მათი ვადამდე განთავისუფლება, მუშაობის ჩათვისისა და სხ.

მსაჯულები

მესამე უბნის სახალხო სასამართლოზე მომაგრებულნი არიან—327 მსაჯულნი. ამათ რიცხვში შედიან თელეთის და სხვა სოფლების გლეხები, რომელთა გამოწვევა სხდომაზე თითო კვირით შეუძლებელია, ვინაიდან მათ უცდებათ სამუშაო დღე და მათი გაცდენილი დღის ასანაზღაურებლად სასამართლოს სახსარი არ გააჩნია. გარდა ამისა არჩევნების კამპანიის ჩატარებას დროს იყო ერთგვარი უყურადღებობა როგორც ადგილკომების, აგრეთვე იუსტსახკომის არჩევნებზე მივლენილ წარმომადგენელთა მხრივ, ვინაიდან არჩეულნი იყვნენ დროებითი მომუშავენი წერა-კითხვის უცოდინარნი, რაიც დაუშვებელია დებულებით. ასე, რომ საერთო რიცხვი მსაჯულთა ძალზე მცირდება და თუ მიუმატებთ იმას, რომ ხშირად ადმინისტრატორები ქმნიან თავიანთ „კონსტიტუციებს“ და არ ფიქრობენ—მსაჯულების განთავისუფლებას, როგორც ამას ჰქონდა ადგილი ორთაქალის მამულში და რომლის გამგე პ-გებაშია მიცემული, დაინახავთ გაჭირვებულ მდგომარეობას სასამართლოსას.

ბიუროკრატიზმის ნაშთები

აქნებოდა სიბეცე, რომ ვსთქვათ, რომ სასამართლოს ორგანოებში ბიუროკრატიზმის ნაშთები ჯერ კიდევ არ იყოს. ვამბობთ, რომ ასეთები არის, მაგრამ მასთან საბრძოლველად არ კმარა მარტო შინაგანი ძალა, საჭიროა აგრედვე გარედან დახმარება, დახმარება თვით მოსახლეობის მხრივ, რასაც ჩვენდა საუბედუროდ ნაკლებად ვხედავთ, მაგ. საქმეების გაჭიანურება ძალიან ხშირად გამოწვეულია თვით პროცესში მონაწილეთა მიერ, რომ საბოლოოდ იქმნას დაძლეული ეს სენი, საჭიროა დახმარება ფართე მასის, წინააღმდეგ შემთხვევაში, რის გაკეთებასაც შევძლებთ სულ მცირე დროში, გაგრძელდება წლებით.

საჩვენებელი პროცესები

ერთ-ერთ დირექტივად მე-3-ე რაიკომისა სასამართლისადმი იყო საჩვენებელ პროცესების მოწყობა, რომელსაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს სასამართლომ მხოლოდ უკანასკნელ ხანებში მოაწყო ორი საჩვენებელი პროცესი, სადაც უამრავი ხაზოგადობა დაესწრო და დაინტერესება დამსწრე საზოგადოებისა მით აიხსენება, რომ მიუხედავად განაჩენის ღამის ორ საათზე გამოტანისა, საზოგადოება უკლებლივ რჩებოდა დარბაზში. საჭიროა. საჩვენებელი პროცესები განგრძობილ იქმნან რადგან მათ აქვთ დიდი აღმზრდელობითი და მორალური გავლენა.

ბელი პროცესი, სადაც უამრავი ხაზოგადობა დაესწრო და დაინტერესება დამსწრე საზოგადოებისა მით აიხსენება, რომ მიუხედავად განაჩენის ღამის ორ საათზე გამოტანისა, საზოგადოება უკლებლივ რჩებოდა დარბაზში. საჭიროა. საჩვენებელი პროცესები განგრძობილ იქმნან რადგან მათ აქვთ დიდი აღმზრდელობითი და მორალური გავლენა.

სახ. მოსამართლე ი. კალანდძე.

ქ რ მ ნ ი კ ა

დამცვ. კოლეგიის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა
ა. წ. 29 ოქტომბერს შესდგა დამცველთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა პრეზიდიუმის მუშაობის ანგარიში და ჩატარდა ახალი პრეზიდიუმის არჩევნები.

ახალ პრეზიდიუმის შემადგენლობა ასეთი: ი. სიჭინავა. შ. მესხიშვილი, ბელია, ის. დოღუხანოვი, გ. ენიკოლოფოვი, ევგ. ჩერქეზიშვილი, პ. ქავთარაძე, გრ. გოგოტიშვილი, ალ. რიჟაძე, ივ. მაისურაძე ი. ბარათაშვილი კორძაია, კ. მიქელაძე. კანდიდატებათ: კოსტანოვი, ლ. გრიგოლია, ნარიმანოვი, რობაქიძე, ტატიშვილი მის.: სარევიზიო კომისია: კოსტავა, კ. ანდრონიკაშვილი, დ. ვაშაკიძე. კანდიდატათ—თ. ლაზარევა.

ახალი დანიშვნები და სამსახურიდან განთავისუფლება

◀ ა. წ. 15 ოქტომბრიდან რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეთ და იუსტსახკომის მოადგილეთ დაინიშნა ამხ. თ. დოლიძე.

◀ უზენაეს სასამართლოს თავჯდომარე ამხ. ალ. კაჭარავა ა. წ. 20 ოქტომბრიდან განთავისუფლებულია თავის თანამდებობიდან. ამავე რიცხვიდან უზენაეს სასამართლოს თავჯდომარეთ და იუსტსახკომის მოადგილეთ დაინიშნა ამხ. ი. ტალახაძე.

◀ მაზრა-ქალაქის სასამართლოს თავჯდომარე ამხ. აქვ. ქალანდძე ა. წ. 1 ნოემბრიდან დაინიშნა ი. ს. კ პროკურორათ.

◀ ა. წ. 1 ნოემბრიდან ამხ. გ. ტატიშვილი ცენტრალური პროკურატურიდან გადაყვანილ იქნა მაზრა-ქალაქის პროკურატურაში.

◀ ა. წ. 11 ოქტომბრიდან მაზრა-ქალაქის პროკურატურაში დაინიშნული იქნა პროკურორთ ამხ. ი. ძაძამიძე.

◀ ი. ს. კ. პროკურორის თანაშემწეებათ დაინიშნენ ამხ. ამხ. ნ. სააკოვი ა. წ. 16 ნოემბრიდან და ი. ფირცხალავა 19 ნოემბრიდან.

◀ კახეთის მაზრის მე 2 პროკურორთ ა. წ. 20 ნოემბრიდან დაინიშნა ამხ. კ. შონია.

◀ მე-5-უბ. გამომძიებელი ამხ. ნიკოლაიშვილი 16 ნოემბრიდან დაინიშნა ი. ს. კ. გამომძიებლათ.

◀ ტფილის მე-5-უბ. გამომძიებლათ ა. წ. 16 ნოემბრიდან დაინიშნა ამხ. ვენ. ლორთქიფანიძე.

◀ ა. წ. 16 ნოემბრიდან ტფ. მაზრის მე-2-უბნის გამომძიებლათ დაინიშნულია ამხ. ა. ცვარიანი.

მ ი ვ ლ ი ნ ე ბ ა .

ი. ს. კ. პროკურორი ამხ. ს. ქავთარაძე და ი. ს. კ. ინსტრუქტორი ამხ. სუფსისპირელი მივლინებული არიან ახალციხის მაზრაში სამსახურებრივი საქმეების გამო ა. წ. 15 ნოემბრიდან.

„მემმსი-ს უჯრედის დაარსება იუსტსახკომში.

ა. წ. 22 ნოემბერს იუსტსახკომში ჩამოყალიბებული იქნა მშრომელ ებრაელთა მიწად მომწყობი საზოგადოების („მემმსი“) უჯრედი. უჯრედის ბიუროში არჩეულია ი. შავიშვილი, ბ. ფურცხვანიძე, გ. ბააზოვი. კანდიდატთა გ. მეგრელიშვილი. სარევიზიო კომისიაში—გ. ერისთავი მ. სადალაშვილი და დ. სებუა. წარმოებს ახალი წევრების მიღება.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ .

ჩვენი ჟურნალის № 22-ში 519 გვ. მეორე სვეტის მეორე სტრიქონში წერტილის შემდეგ ზედმეტია „რამდენიმე კაცს“: 520 გვ. მეორე სვეტის მეთორმეტე სტრიქონზე 1927 წლის მაგიერ უნდა იყოს 1923 წ.

ბ ი ბ ლ ი მ ბ რ ა ზ ი ა .

ა. პანტოვსკი. „Советское уголовное право“. ზოგადი ნაწილი. 1928 წ. მეორე გამოცემა.

სარეცენზიო წიგნი წარმოადგენს თეორეტიულ კურსს მომქმედ საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის შესახებ და ეყრდნობა ბურჟუაზიულ უფლებებრივ იდეოლოგიასთან წარმატებით მებრძოლ მარქსისტულ სამართლის თეორიას.

სხენებულ შრომაში პროფ. პიატოვსკი ოთხ უმთავრეს საკითხს ეხება: 1. სოციალოგიური სწავლა დანაშაულის შესახებ 2. დანაშაულობასთან ბრძოლის ზომები 3. იურიდიული სწავლა დანაშაულის შესახებ და 4. სისხლის სამართლის უფლებებრივი იძულების მიყენების პროცესი. საკითხებზე უშუალო გადასვლას წინ უძღვის გრცელი შესავალი.

შესავალში ავტორი მოკლე ექსკურსებს ახდენს ძველი რუსეთის და საბჭოთა სისხლის სამართლის ძირითად ისტორიულ მომენტების გადმოსაცემად. აქვე განხილული ბურჟუაზიულ სახელმწიფოების სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანამედროვე ვითარება. უტყუარი ფაქტური მასალით შლის ავტორი ჩვენს წინაშე ი წ. დ ემოკრატიულ ქვეყნების „მიუდგომელ“ მართლკანონიერებას. მაგალითად მოჰყვამთ თავისუფლების კლასიკურ ქვეყანაში ინგლისში, მთელ რიგ საშუალო საუკუნოებიდან ნაანდერძვე საშუალებათა შორის, ეხლაც არსებობს მცირე წლოვან დამნაშავეთა ხორციელი დასჯა. გარდა ამისა ინგლისის იმპერიალიზმი კიდევ მეტად მკაცრი კოლონიალურ სისხლის სამართლის პოლიტიკის დროს.

„მაშინ, როდესაც სრულწლოვან დამნაშავეთა წინააღმდეგ მეტროპოლიაში, სასამართლო ხორციელ დასჯას თითო ოროლა შემთხვევაში თუ მიმართავს, მას ინდოეთში ინგლისის სასამართლო მასიურ ხასიათს აძლევს. იგივე იქმის სიკვდილით დასჯის შესახებაც“—ამბობს ავტორი. მზგავსივრე მდგომარეობაა საფრანგეთში გერმანიაში და სხვ დამანასიათებელია განსაკუთრებით ფერმანის კანონმდებლობა სადაც ჯერ კიდევ 1871 წ. გამოცემული კოდექსი მოქმედებს. იქაურმა სოცადემოკრატებმა მათთვის ჩვეულებრივი წესით ბურჟუაზიულ კლასის არც ამ ძლიერ იარაღს შეეხებ და მშვიდობიანად შეეზარდენ ძველ აპარატს.

პირველ ნაწილში დანაშაულის სოციალური მხარეების ანალიზია მოცემული რისთვისაც ავტორი უპირველესად თვით ცნების განმარტებაზე ხერხდება.

„სისხლის სამართლის ზეკლასიურ ბუნებიდან გამოსულ ბურჟუაზიულ კრიმინალისტებს არ ძალუძთ გაიგონ რას წარმოადგენს

დანაშაული“—ამბობს ის და წინააღმდეგ სწვდასხვა ბურჟუაზიულ სკოლათა უშედეგო ცდებისა დანაშაულის სწორ კლასიურ დახასიათებას იძლევა. ასე მაგალითად ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ დანაშაულად მხოლოდ ისეთი ქმედობა ჩაითვლება რაც ასე თუ ისე ხელს უშლის კაპიტალისტურ ექსპლოატაციის სისტემას. არა ნაკლებად უშედეგოდ მიაჩნია ავტორს მათი საქმიანობა დანაშაულების მიზეზების შესწავლის სფეროშიაც. ამ საკითხში ორი დიდი მიმართული ბანი აწარმოებენ ბრძოლას: ერთის მხრივ ანტროპოლოგიური და მეორეს მხრივ სოციალოგიური სკოლა და მიუხედავად იმისა რომ მეტი კემშარიტება ამ უკანასკნელის მხარეზეა საბოლოო ჯამში ორივენი დაშორებული არიან საქმის ნამდვილ გარემოებას.

„შემცდარიან ანტროპოლოგიური სკოლის ძირითადი დებულებების შესახებ, რომ დანაშაული არის ბუნებრივი, ბიოლოგიური მოვლენა. დანაშაული სოციალური მოვლენაა“. მაგრამ არც მარტო სოციალურ გარემოზე მითითება კმარა თუ მიგნებული არ შეიქნა დანაშაულის ერთი უმთავრესი მიზეზი, რომელიც თვით კაპიტალიზმის ეკონომიურ ბუნებაში მარხია. სამართლის სოციალურ გარემოსთან დაკავშირება დიდი ხანია რაც ბურჟუაზიულმა იურისტებმა შეიგნეს (არნოლდი, რივე და სხვ.), მაგრამ ისინი და კრძოდ სოციალოგიური სკოლის წარმომადგენელნი (ლისტი, პრინსი და სხვ.) დანაშაულის საკითხში, ვერ მივიდნენ კაპიტალისტურ საწარმოთა ურთიერთობამდე და ზერეფე ემპირიზმით შებოკვილთ არც შეეძლოთ ერთ მთლიან მიზეზამდე მისულიყვნენ.

„სოციალოგიური სკოლა არის გულგაურლ მატერიალისტური იმისათვის, რომ უშვებს დანაშაულის მრავალ ერთი მეორესაგან დამოუკიდებელ მიზეზებს... და მათ გაერთიანებას რაღაც უფროსო. „სოციალური გარემოს“ ცნებით ცდილობს“. იმათ არ აქვთ იმის უნარი, რათა დანაშაული კაპიტალიზმის ორგანიზულ მთლიანობაში წარმოადგინონ და ამ უკანასკნელის ეკონომიური სტრუქტურის ნაცვლად სწავთო სიღარიბეზე და მათოვრობაზე ლაპარაკებენ. ავტორი მშვენივრად განმარტავს მარქსისტულ პოზიციას ამ დროს: „მარქსისტული დიალექტიური ახსნა წინააღმდეგ ბურჟუაზიულ სოციალოგებისა არ არის პლიურალისტური, არამედ მთლიანი, მონისტურია. საბოლოოდ დანაშაულის სოციალური ფაქტორები ყველანი კაპიტალისტურ საწარმოთა ურთიერთობიდან გამოიყვანებიან“.

დანაშაულის რეალური მიზეზის მონახვა და სწორი მარქსისტული გადაწყვეტა ავტორს მეორე განყოფილებაში მუშაობას უადვილებს ვინაიდან დანაშაულებასთან ბრძოლა რაციონალურ ნიადაგზე მხოლოდ მაშინ იქნება შეყენებული, როდესაც ჩვენ უმთავრესი გამოიწვევი მიზეზი გვეცოდინება. აქ ავტორია აშკარავეს „კლასიკური“ სკოლის ინდეტერმინიზმის ნიადაგზე აღმოცენებულ ნაცვალგების თეორიის ეკონომიურ ძირებს და სისხლის სამართლის უფლებრივ იძულებაში სრულიად სამართლიანად მხოლოდ დანაშაულისაგან თავდაცვის აუცილებლობას ხედავს. არ არსებობს არავითარი

„მორალური ბრალი“ ყოველივეს მიზეზი კაპიტალისტური სისტემის ეკონომიური წყობაა, მაგრამ თუ მაინც ეგბრძვით დანაშაულს მხოლოდ იმითმ და იმდენად რამდენადაც ამას რევოლიუციონური მიზანშეწონილების კრიტერია მოითხოვს. სოციალისტური მშენებლობასთან ერთად დანაშაულება თანდათანობით მოიპოპობა და ამიტომ სოციალისტური სახელმწიფო დანაშაულობის ჩამდენ კერძო პირებთან ბრძოლით კი არ ფიქრობს კაპიტალიზმიდან ნაანდერძვე უბედურების თავიდან აცილებას არამედ პროლეტარული სახელმწიფოს სწორი ეკონომიური პოლიტიკით. ამის შემდეგ ავტორი დეტალურად იხილავს სოციალური დაცვის ღონისძიებათა სამ მთავარ ჯგუფს, რომელთაც საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა უყურებს, როგორც პროლეტარიატის დექტატურის თავდაცვის აუცილებელ ზომებს. მიზანშეწონილი სისხლის სამართლის პოლიტიკის გათვალისწინებით და დანაშაულებასთან გვემიანი ბრძოლის სისტემის აღნიშვნით ავტორი სწორად არკვევს ჩვენი კოდექსის პოზიციას ზოგად და სპეციალ გაფრთხილების გამოყენების საკითხში.

წიგნის მესამე განყოფილებაში ადგილი აქვს დანაშაულის იურიდიულ მხარეთა შესწავლას. ის ორ ძირითად საკითხების შესწავლით მიიმართება: 1. დანაშაულის საერთო შემადგენლობა და 2. დანაშაულებრივ ქმედობის გამოვლინების ფორმები. პირველი საკითხი შემდეგ არსებით ეფუძნება შეიკავს: 1. დანაშაულის სუბექტიუ. 2. დანაშაულის ობექტი 3. დანაშაულის შემადგენლობის სუბექტიუ-

კანონმდებლობის მიმოხილვა

1928 წ. ნოემბრის 1-დან ნოემბრის 15-მდე

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. კანონმდებლობა

Об утверждении важнейших постановлений Зак ЦИК, принятых президиумом в промежуток между 3 и 4 сессиями. (ა. კ. სმბჭოთა მე-IV მოწვევის ც. ა. კ-ის მე-4 სესიის 1928 წ. ნოემბრის 1 დადგ. „ზარ. ვოსტ.“, № 257, ნოემბრის 6).

დადგენილებით დამტკიცებულია ა-კ. ც. ა. კ-ის პრეზიდიუმის ქვემო მოყვანილი დადგენილებანი, მიღებული ა-კ. საბჭოთა მე-IV მოწვევის ც. ა. კ-ის მე-3 და მე-4 სესიათა შუა პერიოდში:

1. О взимании с промышленных предприятий 1/4 проц. суммы заработной платы на содержание яслей (ა-კ. კან. კრ. 1928 წ.).

2. Об арендной плате за пользование летними и зимними пастбищами (ა-კ. კან. კრ. 1928 წ. № 11, მუხ. 118).

3. О мерах поощрения строительства жилищ за счет частного капитала (ა-კ. კან. კრ. 1928 წ. № 15, მუხ. 1—19).

4. О налоговых льготах лицам осуществляющим строительство крупных жилых домов (ა-კ. კან. კრ. 1928 წ. № 15, მუხ. 153).

5. Об утверждении и введении в действие положения о финансировании сельского хозяйства по единому государственному бюджету ЗСФСР (ა-კ. კან. კრ. 1928 წ. № 18, მუხ. 105).

6. О персональных пенсиях (ა-კ. კან. კრ. 1928 წ. № 18, მუხ. 203).

7. О наблюдении и контроле за проведенном в жизнь постановлений правительств Союза ССР и ЗСФСР о мероприятиях, связанных с осенней посевной компанией 1928 г. (ა-კ. კან. კრ. 1928 წ. № 18, მუხ. 196).

სახელმწიფო მმართველობა.

Об организации при народных комисариатах финансов республик, входящих в состав ЗСФСР, особых отделений по налогу с грузов, привозимых и вывозимых по железнодорожным и водным путям сообщения (ს. კ. ს-ოს 1928 წ. ოქტომბრის 25 დადგ. № 69,—„ზარ. ვოსტ.“, № 254, ნოემბრის 2).

ამ კავ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალ რესპუბლიკების ფინანსთა სახ. კომისარიატებთან ა/წ ნოემბრის 15-დან არსდება ცალკე განყოფილებები სატვირთო გადასახადებისათვის (არსებული აპარატის შენარჩუნებით ა/კ დიდ ქალაქებში). კომისიების დანიშნულებაა—ზედამხედველობა, ხელმძღვანელობა ადგილობრივი გადასახადების აკრეფის საქმისათვის იმ ტვირთებზე, რაც შემოდის და გადის რკინის გზით და წყლითა, და აღრიცხვა შემოსულ გადასახადებისა. აღნიშნული აპარატის ხარჯი დაიფარება ამ გადასახადით შემოსული საერთო ჯამის განსაკუთრებული ანარჩებით.

ნოემბრის 15-ანვე ტრანსპორტის აგენტების მიერ სატვირთო გადასახადის აკრეფისათვის მიეცეს რკინისგზას, სანაოსნო ორგანიზაციას ან ნავთსადგურს გასამრჯელო გადასახადით შემოსული თანხის 3/2 პროცენტის რაოდენობით, ა/კ დიდ ქალაქებში-კი (ასეთი ქალაქების სია ა/კ ადგილობრივი ფინანსების დებულების 37 მუხ. წესისამებრ) არა უმეტეს 2%.

ა-კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების სახკომსაბჭოებმა უნდა განსაზღვრონ ცალკე განყოფილებების საჭირო შტატები და აგრეთვე ანარჩებების რაოდენობა ამ შტატების შესახად (ამა დადგენილებაში განსაზღვრული 2% ზევით).

ფინსახკომმა ერთი კვირის განმავლობაში უნდა შეიმუშაოს ინსტრუქცია ამ განსაკუთრებულ განყოფილებისათვის.

ადმინისტრაციული მმართველობა.

О порядке исчисления административно управленческих расходов по сметам на 1928—29 г. государственных органов,

რო მხარე და 4. მისი ობიექტური მხარე. მეორე საკითხით შეისწავლება: 1. დანაშაულებრივ ქმედობის განვითარების სტადიები 2. თანამონაწილეობა და 3. ისეთი შემთხვევები როდესაც საქმე გვაქვს დანაშაულებრივ თავგერილობასთან. აქ უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ე. წ. ჩათვლის პრობლემა. მარქსისტული მეცნიერული შეხედულება მართალია ებრძვის ინდუქტიური მხედულებას დანაშაულზე. მაგრამ როგორც აღნიშნავს ავტორი: „ეს ხელს არ უშლის დანაშაულებზე უფლებრივი ზეგავლენა მოვაგდინოთ... მარქსიზმი კი არ სპობს ნების თავისუფლებას არამედ მეცნიერულად ხსნის მას“. ამიტომ თავდაცვის მიზანშეწონილად მომართვის თვალსაზრისით სოციალური დაცვის ღონისძიება ყოველ პიროვნებას მიეყენება და ამდენათვე ბუჩუქაზიულ თეორეტიკოსებისაგან გამოშუშავებული „ჩათვლის უნარიანობა“ ჩვენს სინამდვილეში თავის მნიშვნელობას კარგავს. ამ თერმინის ხმრება მხოლოდ სამაგიერო სიტყვის უქონლობით შეიძლება ავსნათ. რაც შეეხება დანაშაულის სუბექტს მასზე თითქმის ორი აზრი არც კი შეიძლება იყოს; ასეთებათ ჩვენი კოდექსით მხოლოდ ფიზიკური პირები არიან.

„დანაშაულის სუბექტად შეუძლებელია იურიდიული პირი იქნეს... ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიეცემთ იურიდიულ პირს სისხლის სამართლის პასუხისგებაში“. ამბობს პროფ. პიანტკოვსკი. ამ კატეგორიულ განცხადებას არ ეთანხმება პროფ. ა. ტრაინინის დასკვნა, რომელსაც ის აკეთებს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების საფუძველზე—1926 წ. 10 ნოემბრის. ამ დადგენილების თანახმად საკრედიტო დაწესებულებაში აღმოჩენილი წესდების დარღვევა ან და სხვა რომელიმე ბოროტმოქმედება, ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლებას აძლევს შუამდგომლობა აღძრას ამ საკრედიტო დაწესებულების დახურვის შესახებ. „ამ დადგენილებაში კანონი ფიზიკური პირის მოქმედებისათვის პასუხისმგებლობას არსებითად იურიდიულ პირს აკისრებს, ვინაიდან იმას ისევე შეუძლია წესდების დარღვევა, როგორც ქურდობა ან და მკვლელობა“—ასკვნის ა. ტრაინინი („Уголовное право“. 1927 წ. გვ. 202). ეს შეხედულება თავის თავად ცხადია არ არის სწორი ვინაიდან ამ შემთხვევაში არავითარ სისხლის სამართლით პასუხისმგებლობას არა აქვს ადგილი. დიდ ყურადღებას იქცევს აგრეთვე საკითხი მიზეზობრივობის პრინციპის შესახებ სისხლის სამართალში. ამ შემთხვევაში ავტორს მარქსიზმის საფუძველზე მეტის გაკეთება შეეძლო.

დასასრულ ავტორი ჩერდება სისხლის სამართლის კანონის ბუნებაზე, სოციალური დაცვის ღონისძიების შერჩევაზე და თანდათანობით უახლოვდება სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებს, სოციალურ ღონისძიებათა გამოყენების დროს, რაც სპეციალი დისციპლინის საგანია. არ შეიძლება არ შეეხებოდ ერთ ნაკლს, რომელსაც დაინტერესებული მკითხველი აუცილებლად შეამჩნევს. როგორც ვიცით სსრკ წარმოშობამ საკითხი წამოაყენა ცალკე რესპუბლიკების და კავშირის კომპეტენციის განსაზღვრის შესახებ. ის შეეხება სისხლის სამართლის კანონმდებლობასაც, მაგრამ ავტორის მიერ ის ჯეროვანად ვერ არის ამოწურული. მცირეოდენი მიმოხილვები რომელთაც ადგილი აქვს 27—29 გვერდებზე საქმის სრულ სურათს ვერ შლიან და ღია რჩება ისეთი მნიშვნელოვანი მომენტები, რომელსაც ხაზი გაუსვა ამხ. კრილენკომ. ასეთია მაგ. საკითხში იმის შესახებ, წარმოადგენს „საფუძველები“ ყველგან მოქმედ კანონს თუ მხოლოდ სამართლის წყაროს? ჩემის აზრით ამ პრობლემას ცალკე თავი ესაჭიროება.

ასეთია პროფ. პიანტკოვსკის დასახელებული შრომა და ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მან მისი მთავარი აპოკანა: გახდეს საბჭოთა სისხლის სამართლის მარქსისტული სახელმძღვანელო, მილიანად შეასრულა. მისი ქართულად გადმოთარგმნა დიდ სარგებლობას მოუტანს იურიდიულ საკითხებით დაინტერესებულ პირებს და სასამართლო მუშაკებს.

ან. გელოვანი.



действующих на началах коммерческого (хозяйственного) расче-
та, и смешанных акционерных обществ (ს. კ. ს-ის 1928 წ. ოქ-
ტომბრის 28 დადგ. № 71.—ზარ. ვოსტ.“ № 257, ნოემბრის 6).

ა/კ. ს. ფ. ს. რ-ისა და ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკე-
ბის სახელმწიფო ორგანოებმა, რომლებიც კი კომერციულ (სამეურ-
ნეო) ანგარიშით მოქმედებენ, და შერეული სააქციო საზოგადოებებ-
მა, რომელთათვისაც ა/კ. ვაჭრობის სახკომში რეგისტრაცია სავალ-
დებულა, 1928—29 წ. საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯები
უნდა გაითვალისწინონ იმ რაოდენობით, რაც არ აღემატება 1927-28
წ. ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულ სათანადო ხარჯებს. რომ-
ლებიც განსაზღვრულ იყო თანახმად ა/კ. სახკომსაბჭოს 1927 წ. სე-
ქტემბრის 22 № 48 დადგენილებისა „საადმინისტრაციო-სამმართველო
ხარჯების 20 პროც. შემცირების შესახებ (ა-კ. კან. კრ. 1927 წ.
№ 17, მუხ., 206) ხარჯების გათვალისწინების დროს მხედველობაში
არ მიიღება 1927—28 წ. ისეთი ხარჯები, რაც არ განმეორდება
1928—29 წ., ხოლო 1928—29 წ. ხარჯთაღრიცხვაში პირველად გა-
თვალისწინებული ხარჯები არ შედის ზემოაღნიშნულ საზღვრითი
რაოდენობაში და ხარჯთაღრიცხვაში აღინიშნება გარეშე.
უკეთუ 1928—29 წ. დამტკიცებულ გეგმით გათვალისწინებულ იქნე-
ბა საბუშაოების გადიდება; სამრეწველო საწარმოსათვის 17 პროც.-ზე
მეტი რაოდენობით, ხოლო სავაჭროსათვის 20 პროც, სათანადოდ შე-
იძლება შეცვლილ იქნეს ხარჯთაღრიცხვაში.

ზემოაღნიშნულ დაწესებულებებმა ხარჯთაღრიცხვების შედ-
გენის დროს უნდა გაითვალისწინონ შესაძლებელი შემცირება აღნიშ-
ნულ ხარჯებისა აპარატის რაციონალიზაციის, მუშაობის სისტემის
და მეთოდების შეცვლის გზით და სხვ., სამმართველო ორგანოების
სადგომების ჭირისა და შენახვის ხარჯებისა და სხვ.

ა-კ. ს. ფ. ს. რ-ისა და ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკე-
ბის სახ. კომისარიატმა, რომელთაც აქვთ თავის გამგებლობაში ზე-
მოაღნიშნული საწარმოები, უნდა გამოსცენ, მუშაობის სისტემის შეთან-
ხებით, ინსტრუქციები ამა დადგენილების შესაფარებლად.

მუშაობის შედეგები დადგენილების შესრულებას,
სახკომსაბჭოებს წინადადება ეძლევათ გამოსცენ დადგენილე-
ბანი ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოებისა და
შერეული სააქციო საზოგადოებათა საადმინისტრაციო-სამმართველო
ხარჯების განსაზღვრის შესახებ (ანალოგიურ პირობებში).
ბიუჯეტი.

**О бюджетных правах ЗСФСР и Республик, входящих в ее
состав** (ა-კ. საბჭოთა მე-IV მოწვევის ც. ა. კ-ის მე-4 სესიის 1928 წ.
ნოემბრის 1 დადგ. № 1, ზარ. ვოსტ.“ № 257, ნოემბრის 6) დადგენი-
ლებით დამტკიცებულია პროექტი დებულებისა ამ. კავკ. ს. ფ. ს.
რ-ისა და ამ ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო
უფლებების შესახებ.

ა-კ. ც. ა. კ-ის პრეზიდიუმს მიეცა დავალება, რომლის ძალი-
თაც: ა) უკეთუ ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კ-ის მთავალ სესიაზე დე-
ბულება კავშირის საბიუჯეტო უფლებათა შესახებ შეიცვლება იმ
მხრივ, რომ გაფართოვდება მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო
უფლებანი, შეიტანოს სათაურში აღნიშნულ დებულებაში სათანადო
ცვლილებანი და ბ) აღძრას მიღებული წესით შუამდგომლობა ს. ს.
რ. კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა
შესახებ დებულების 16 პუნ. „ს“ ლიტერში ცვლილების შეტანის შე-
სახებ იმ მხრივ, რომ ამ ლიტერში განსაზღვრული ვადა გადიდდეს
სამ თვემდე.

სახალხო მუშარეობა.

**О мероприятиях по учету древесины в лесах, находящихся
на территории ЗСФСР** (ს. კ. ს-ის 1928 წ. ოქტომბრის 20 დადგ.
№ 70.—ზარ. ვოსტ.“ № 256, ნოემბრის 4).

გამოცემულია თანახმად შრომისა და თავდაცვის საბჭოს
1928 წ. აგვისტოს 17 დადგენილებისა (ოქმ. № 385, პუნ. 2).
ამ. კავკ. ტყეებში ხე-ტყის სისწორით და ერთნაირად აღსა-
რიცხვად გადასინჯოს არსებული მასსიური და სასორტიმენტო
ცხრილები და შედგენილ იქნეს ახლები.
ამ ცხრილების ამ. კავკ. მაშტაბით სარგებლობისათვის შედ-
გენის საქმისათვის საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრება სპეციალურ
კომისიას ა-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან; მუშაობა უნდა დამ-
თავრდეს არა უგვიანეს 1930 წ. ოქტომბრის 1-ისა. კომისიას დანი-

შნავს ა-კ. უმაღლ. ეკ. საბჭო შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომე-
რე—ა-კ. უმაღლ. ეკონ. საბჭოს ერთ-ერთი წევრი, და მისი სპეცია-
ლისტი—ტყის მომწინებელი; ტენიკურ სამუშაოებისათვის კომისია
სარგებლობს ტენიკურ აპარატით—ორი ტაქსატორით და ერთი
დამთვლელით; ყველა ხარჯს კომისია ეწვევა განსაკუთრებულ ხარჯთ-
აღრიცხვით, რომელსაც იგი წარადგენს ა-კ. ფინსახკომში და რომ-
ელსაც დაამტკიცებს ეს უკანასკნელი.

კომისია არა უგვიანეს 1929 წ. იანვრის 1 შემთხვევებს ინ-
სტრუქციას მასსიური ცხრილების შედგენისათვის, მათი მეთოდო-
ლოგიის, სისტემის განმარტებით და საჭირო ფორმების თანდარ-
თვით და სხვებს ა-კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკებს ეკონ-
ომიურ საბჭოებს დაუგზავნოს იგი მიწსახკომს; შეაგროვებს ცხრი-
ლებისათვის საჭირო მასალას, უხელმძღვანელებს გაზომვის და დათ-
ვლიერების საქმეში და სათანადო შემთხვევაში გაგზავნის თავის
წევრებს ადგილებზე ხელმძღვანელობის გასაწევად.

მიწსახკომებმა უნდა წარადგინონ ა-კ. უმაღლ. ეკონ. საბჭო-
ში სპეციალური კომისიის მუშაობისათვის საჭირო მასალები, საჭი-
რო შემთხვევაში კომისიის დავალებით და დირექტივით მოახდინონ
დათვლიერება და დაზოგვა ცალკე ჯიშებისა და რაიონებისა, წარა-
დგინონ საჯუშელო მომზადებელი ცხრილები დათვლიერებისა მას-
სიური ცხრილების შესადგენად, შეამუშაონ და წარადგინონ საბჭოში,
სასორტიმენტო ცხრილების პროექტი ა-კ. სპეციალურ კომისიის მიერ
შედგენილი ერთიანი გეგმის მიხედვით; არა უგვიანეს 6 თვისა ამა
დადგენილების მიღების დღიდან გადაიტანონ მეტრიულ სისტემაზე
ამჟამად მოქმედი სასორტიმენტო ცხრილები დამტკიცებული სტან-
დარტების ანგარიშში მიღებით, შეუდგენნ ხე-ტყის მარაგის გეგმით
აღრიცხვას.

საქართველოს ს. ს. რ. კანონმდებლობა

ადმინისტრაციული მმართველობა

**საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მუშათა და
გლეხთა მილიციის დებულების მე-20 მუხლის შეც-
ვლის შესახებ** (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის დადგ. № 66.—კომუნ-
ისტი“ № 242, ოქტომბრის 18).

აღნიშნული დებულების (კან. კრ. 1926 წ. № 7, მუხ. 114)
მე-20 მუხლში გათვალისწინებული ქვემდებარეობა მილიციის თანა-
მშრომელთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა საქმეებისა შეცვლილია იმ
სახით, რომ ისეთი დანაშაულის საქმე, რაც გათვალისწინებულია
სამხედრო დანაშაულთა დებულების 14 მუხ. „ა“ პუნქ., 15 მუხ. „ა“
პუნქ. და 16 მუხ. „ა“ პუნქტში ქვემდებარება სახალხო სასამართ-
ლოს, ხოლო იმ დანაშაულისა, რაც გათვალისწინებულია იმავე დე-
ბულების 2, 3, 4, 5, 7, 8 მუხ., 14 მუხ. „ბ“, „დ“ და „ე“ პუნქტში
15 მუხ. „ბ“, „დ“ და „ე“ პუნქტში და 16 მუხ. „ბ“, „დ“ და „ე“
პუნქტში—სამაზრო სასამართლოს.

დანარჩენში მუხლი შეუცვლელია, პირველი შენიშვნის მცირე
სტილიური შესწორების გარდა.

შ რ მ ა

**იმ საგლებო მეურნეობათა შესახებ, რომლებზე-
დაც არ გავრცელდება გლეხის მეურნეობაში დამხმარე
დაქირავებული შრომის გამოყენების პირობების დროე-
ბითი წესები** ს. კ. ს-ის 1928 წ. ოქტომბრის 16 დადგ.—„კომუნ-
ისტი“ № 248, ოქტომბრის 25).

გამოცემულია თანახმად ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის სახკომსაბჭოს 1928
წ. მარტის 31 დადგენილებისა (ა/კ კან. კრ. 1928 წ. № 9, მუხ. 101).
„დროებით წესები გლეხს მეურნეობაში დამხმარე დაქირავე-
ბული შრომის გამოყენების პირობების შესახებ“ (ს. ს. რ. კავკ., კან.
კრ. 1925 წ. № 26, მუხ. 183) არ გავრცელდება შემდეგ საგლებო
მეურნეობებზე:

- ა) მეურნეობაზე, რომელიც ერთსა და იმავე დროს გამოიყე-
ნებს არა ნაკლებ სამი ადამიანის (დაქირ. სოფლის მუშა) ან ამბო-
კარ-ჭალის შრომის მთლად სსს. სამეურნეო სეზონის განმავლობაში;
- ბ) მეურნეობაზე, რომლის ოჯახის წევრები იხდიან სარეწავ
გადასახადს სამრეწველო ბრუნვის მიხედვით ან რომელნიც ეწვევიან

ვაჭრობას ან სავაჭრო შუამავლობას, თუნდაც ისინი სარეწავე გადასახადს არ იხდიდნენ;

გ) მეურნეობაზე, რომლის სას.-სამეურნეო გადასახადის შესაწვრად გამოანგარიშებული შემოსავალი აღემატება 500 მან. წელიწადში, დაქირავებული მუშა-ხელის რაოდენობის მიუხედავად;

დ) მეურნეობაზე, რომელშიც დაქირავებული პირადი შრომით მონაწილეობას არ მიიღებს, გარდა იმ მეურნეობისა, სადაც განსაკუთრებული მიზეზების გამო (სამხედრო სამს., ინვალიდობა, ქვრივობა და სხვ.) შრომის უნარიანი წევრი არ არის;

ე) საადგილ-მამულო საზოგადოების ან მისი ნაწილის მეურნეობაზე, რომელიც დაქირავებს საერთო მწყემს;

ვ) მეურნეობაზე, რომელსაც აქვს რთული სას.-სამეურნეო მანქანები (ტრაქტორი, საღებავი) ან რომელიც სისტემატურად გააქირავებს ხოლომე აღნიშნულ რთულ მანქანებს ანდა სას.-სამეურნეო სულოერ ინვენტარს;

ზ) კოლექტიურ მეურნეობაზე და

თ) მეწარმე-მოიჯარადრის მეურნეობაზე.

შრომის სახ. კომისარიატმა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან ერთად უნდა გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების ადგილობრივ შეფარდებისათვის.

სახელმწიფო მმართველობა.

ხელისუფლების ორგანოების პასუხისმგებლობის შესახებ კოოპერატიული ორგანოების მოქმედებაში მათი უკანონო ჩარევით მიყენებული ზარალისათვის. (ც. ა. კ-ის და ს. კ. ს.-ის 1928 წ. აგვისტოს 1 დადგ. № 57, — „კომუნისტი“ № 259, ნომბრის 7).

ხელისუფლების ყველა ორგანოს ეკრძალება კოოპერატიული ორგანიზაციის ისეთ საოპერაციო მოქმედებაში ჩარევა, რასაც იგი ანხორციელებს წესდების მიხედვით ანდა დამტკიცებული გეგმისა ან სახელმწიფო საწარმოსა და დაწესებულებასთან დადებული გენერალური ხელშეკრულების შესასრულებლად, კერძოდ, განკარგულების გაცემა ვისთვისაც უნდა იყოს საქონლის ნისიად მიცემის შესახებ; აგრეთვე განკარგულების გაცემა ისეთი ხარჯის გაწევის შესახებ, რაც არ არის გათვალისწინებული მის წესდებაში, ამ. კავკ. და საქართველოს კანონმდებლობაში ან ადგილობრივი აღმასკომისა და საქალაქო საბჭოს სავალდებულო დადგენილებაში, მაგ. საქველმოქმედო მიზნით ფულის გაღება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარება და სხვა.

ხელისუფლების ყველა ორგანოს, რომელიც კი საამისოდ კანონით უფლებამოსილი არ არის, ეკრძალება აგრეთვე რევიზიის და გამოკვლევის მოხდენა, ანგარიშების, ცნობების და სხვა მასალის წარდგენის მოთხოვნა, განკარგულების მიცემა საორგანიზაციო საკითხების (წევრთა საერთო კრების მოწვევა, მმართველ-გამგეობის და საკონტროლო ორგანოების არჩევა, თანამშრომლების მიღება-დათხოვნა, სამოქმედო გეგმის დამტკიცება და სხვ.).

ხელისუფლების ორგანო ქონებრივად პასუხს აგებს იმ ზარალისათვის, რაც კოოპერატიულ ორგანიზაციას მოუვა ამ ორგანოს ხელქვეითი თანამდებობის პირის ისეთი სამსახურებრივი მოქმედებით, რითაც დარღვეულ იქნება ამ დადგენილების რომელიმე მოთხოვნა, იმ პირობით-კი, თუ აღნიშნული პირის ბრალი ასეთ დარღვევაში დამტკიცდება სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

ხელისუფლების ორგანოს თავის მხრივ უფლება აქვს გადახდილი თანხა აანაზღაურებინოს თავის თანამშრომელს.

საბინაო კანონმდებლობა.

სახლის დროებითი მდგმურებისა და სახლიდან დროებით წასულებისათვის საცხოვრებელ სივრცეზე

უფლების შენარჩუნების პირობების დებულების დამტკიცების შესახებ (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს.-ის დადგ. № 76, — „კომუნისტი“ № 258, ნომბრის 3).

დროებითი მდგმურად ჩაითვლება ის პირი, ვისაც ბინის ან ოთახის დამქირავებელი უფლებას მისცემს დროებით იცხოვროს მასთან მისი ნორმისა ან ოთახის ზედმეტი სივრცის ფარგლებში. ზედმეტი საცხოვრებელი სივრცის ცალკე ოთახის სახით (ცალკე შესასვლელით) გადაცემა შეიძლება მხოლოდ სამოურაოს თანხმობით.

დროებითი მდგმურის ჩასახლებისათვის საჭირო არ არის სახლის სამოურაოს თანხმობა, ხოლო დროებით მდგმურმა და ჩამსახლებელმა უნდა წერილობით, ბარათის ჩამორთმევით, განუცხადონ ჩასახლების შესახებ სამოურაოს; განცხადებაში აღინიშნება დროებითი მდგმურის ვინაობა, მოსაქმეობა, ჩასახლების დრო და ვადა. სახლის სამოურავო მოვალეა ჩასწეროს მდგმური დავთარში 3 დღე-ღამის განმავლობაში, ხოლო ასეთი ჩაწერა არავითარ დამოუკიდებელ უფლებას არ ანიჭებს დროებითი მდგმურს.

დროებითი ცხოვრების უფლება მოისპობა: ა) იმ ვადის გასვლის შემდეგ, რა ვადიდაც მიღებული იყო ჩასახლებული; ბ) იმ მომენტიდან, როდესაც, ჩამსახლებელი უარს იტყვის დროებით მდგმურთან ერთად ცხოვრებაზე და გ) იმ მომენტიდან, როდესაც მუდმივი მდგმური გამოსახლებულ იქნება.

დროებითი მდგმურის გამოსახლება მოხდება სასამართლო წესით.

რაც შეეხება დროებით წასულ მდგმურებს, დადგენილებაში დაწვრილებით გათვალისწინებულია, რა დროით და რა პირობებში შეენარჩუნებათ ასეთ პირებს სადგომები, როგორ უნდა აღნიშნოს თავისი წასვლა და რა დოკუმენტები უნდა წარადგინონ და სხვ.

უკეთეს დროებით წასული მდგმური ვადის გასვლის შემდეგ 7 დღის განმავლობაში არ გამოცხადდება, იგი გასახლებულად ჩაითვლება. ხოლო საცხოვრებელი სივრცე, რომელიც მას ეჭირა, განთავისუფლებლად და სახლის პატრონის (სამოურაოს) განკარგულებაში გადასულად.

უკეთეს არ დაბრუნებული მდგმურის ოთახი ან ბინა დაკეტილია ან შიგ მისი ქონებაა მოთავსებული, ბინის თუ ოთახის დაკლა მოხდება სასამართლო წესით.

წასული მდგმურის გამოსახლება მის, ოჯახზე არა ვრცელდება; არ დაბრუნებით განთავისუფლებული სივრცე, ან სამოურაოს გადაცემა, თუ იგი ცალკე ოთახია, ცალკე შესასვლელით, ან ოჯახის სარგებლობაში დარჩება საერთო საფუძველზე.

ჯანმრთელობის დაცვა.

ხრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების სამდღიურის ჩატარების შესახებ (ც. ა. კ-ის 1928 წ. ოქტომბრის 27 დადგ. № 75, — „კომუნისტი“ № 251, ნომბრის 1).

სათაურში აღნიშნულ საზოგადოებას მიეცა სამდღიური მოწყობის უფლება ა/წ. 8, 9 და 10 ნომბერს; ამ სამ დღეში მას შეუძლიან შეაგროვოს ფული ყულაბებით ყველგან — ქუჩებში, საჯარო ადგილებში სახელმწიფო დაწესებულებებში, გამართოს ფსიანი კონცერტები და წარმოდგენები, ლექციები, საუბრები და სხვ.

გარდა ამისა ამავე სამი დღის განმავლობაში შემოღებულია სხვადასხვა სახის სპეციალური გამოსაღები: გასართობ სანახაობათა ბილეთებზე, რესტორანისა, სასტუმროსი და სასადილოს ბრუნვებზე, აბანოების ჩომრებით სარგებლობისათვის და სხვ.

ყველა ამ ღონისძიებებს საზოგადოება განახორციელებს სამდღიურის ჩამტარებელი განსაკუთრებული მთავარი რესპუბლიკანური კომიტეტის მეშვეობით.



ქვიციის ნაწილი

შინაარსი: უზენაეს სასამართლოს ცირკულარები № 27, 28, 29, 30, 31; განმარტება.

ცირკულარი № 27.

სამაზრო და სახალხო სასამართლოებს და პროკურორებს.

ასლი: უზენაეს სასამართლოს და აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს. სოფლის მოჯამაგირეთა ინტერესების დაცვის შესახებ.

იუსტიციის ორგანოები ვალდებული არიან მთელი თავისი ძალდონით, ფზიხელი მეთვალყურეობა გაუწიონ იმას, რომ მტკიცედ სრულდებოდეს სასოფლო მეურნეობაში დაქირავებული შრომით სარგებლობის წესი, უნდა თვალყური ადევნონ აგრეთვე სოფლად შრომის კანონთა კოდექსის შეფარდებას და ყველა იმ საკანონმდებლო განკარგულების შესრულებას, რაც კი კულაკურ მეურნეობაში დაქირავებული შრომით სარგებლობას ეხება და ამ წესების დარღვევისათვის დამნაშავე მისცენ სასტიკ პასუხისმგებაში.

სათანადო დირექტივები მოჯამაგირეთა უფლებრივი დაცვის შესახებ მოცემულია ცენტრიდან უკვე წარსულ წელს იუსტიციის სახ. კომისარიატის 1927 წ. ივლისის 6 № 41 ცირკულარით.

ამ ცირკულარში იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერ სასამართლოების და პროკურატურის საყურადღებოთ ხაზგასმით აღნიშნულია მოჯამაგირეობის ინტერესების დაცვის მთავარი საკითხები, რომლებიც მოცემულია: 1) დროებითი წესებში „გლეხის მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომით სარგებლობის პირობების შესახებ“ (ს. ს. რ. კ. კან. კრ. 1925 წ. № 26) და 2) ა. კ. ს. ფ. ს. რ.-ის სახალხო კომისარიატის საბჭოს მიერ 1925 წ. ივლისის 30-ს აღნიშნული წესების შესაფარდებლად გამოცემულ ინსტრუქციაში (გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 1925 წ. აგვისტოს 5 № 943-ში და ამ/კავკ. ს. ფ. ს. რ.-ის შრომის კანონმდებლობის მოამბის 1925 წ. № 14-ში) იუსტიციის სახ. კომისარიატის ზემოხსენებულ ცირკულარის დართული ჰქონდა გადაბარების ბროშიურა: „როგორ უნდა იქნეს დაცული სოფლად მოჯამაგირის შრომა“.

მიუხედავად ამისა იუსტიციის ორგანოები, როგორც ეს სჩანს იუსტიციის სახ. კომისარიატში მიღებულ ცნობებიდან, არ იღებენ ჯეროვან მონაწილეობას მოჯამაგირეთა ინტერესების დაცვის საქმეში, აქიანურებენ მოჯამაგირეთა შრომის საქმეების გარჩევას და გარდა ამისა, არც იურიდიული აღმზრდელითი მუშაობას აწარმოებენ ღარიბ გლეხებს შორის.

ზემოაღნიშნულის მიხედვით და მოჯამაგირეობის უფლებრივი დაცვის შესახებ დირექტივების შესაფერისად იუსტიციის სახ. კომისარიატი წინადადებას გაძლევთ:

1. ფზიხლათ ადევნოთ თვალყური იმას, რომ სწორუცვლელად სრულდებოდეს სსრკ. სახალხო კომისარიატის საბჭოს მიერ „გლეხის მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომით სარგებლობის პირობების შესახებ“, გამოცემული დადგენილება, ამ/კავკ. ს. ფ. ს. რ.-ის სახალხო კომისარიატის საბჭოს ზემოაღნიშნული ინსტრუქცია და აგრეთვე ამ ინსტრუქციის ცვლილებანი და დამატებანი (გამოქვეყნებულია ამ/კავკ. ს. ფ. ს. რ. კან. კრ. 1928 წ. № 9-სა და ვაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 1928 წ. აპრილის 13 № 86-ში);

2. მიიღეთ ღონისძიება, რათა მოჯამაგირეთა საქმეების განხილვა არ ფერხდებოდეს და არ ქიანურდებოდეს (ამ/კავკ. ს. ფ. ს. რ.-ის 1925 წ. ივლისის 30 ინსტრუქციის 48, 49 და 63 მუხ.);

3. ადგილობრივი პროკურატურისა და სახალხო სასამართლოების სამუშაო გეგმის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება უფლებრივ პროპაგანდას, შეიტანეთ სოფელეთა, მეტადრე მოჯამაგირეთა კრებებზე სავალდებულო მოხსენებათა ჩატარება მოქმედი კანონმდებლობის საკითხებზე სოფლად შრომის დაქირავებისა და დაცვის შესახებ;

4. ადგილობრივი პროკურატურისა და სახალხო სასამართლოების სამუშაო გეგმაში შეიტანეთ ის, რომ სოფლად გასვლის დროს, წარმოებულ იქნეს სასოფლო საბჭოების და სათემო აღმასკო-

მების მუშაობის მიმოკვლევა შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის დარღვი და აგრეთვე შემრიგებელი კომისიების მუშაობის მიმოკვლევა;

5. პროკურატურამ, შრომის ინსტრუქციასთან ერთად, უნდა გააძლიეროს მუშაობა შემბოკველ გარიგებათა და მუშა-ძალის, განსაკუთრებით მცირეწლოვანის, მოზარდის და ქალის დაქირავების ფარულ გარიგებათა გამოსაშვარავებლად და დამნაშავეის წინააღმდეგ აღძრას დევნა დადგენილი წესით;

6. აწარმოეთ სისტემატიური აღრიცხვა პროკურატურის და სახალხო სასამართლოების მუშაობისა შემბოკველ გარიგებათა საქმეებზე, მოჯამაგირეთა პრეტენზიების საქმეებზე დამქირავებლებთან და აგრეთვე, მოჯამაგირეთა შორის აღმზრდელითი იურიდიული მუშაობის საერთო აღრიცხვა.

იუსტ. სახ. კომისარის და რესპუბლიკის პროკურორის მოადგ.

ტალახაძე.

საინსტრუქტორო-სარევიზო განყ. გამგეს მაგ. **ხარაბაძე.**

ცირკულარი № 28.

ყველა სახალხო მოსამართლეს და მაზრის პროკურორს.

ასლი: უზენაეს სასამართლოს, აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.

1928 წლის სისხ. სამართლის კოდექსში შეტანილია „დებულება იმ დანაშაულთა შესახებ, რაც საგვარეულო ყოფა-ცხოვრების ნაშთს წარმოადგენს“. ამ დებულებით გათვალისწინებულია საცოლოს გამოსასყიდელის მიღება საქმროსაგან (ყალიბი, ირადი); საქმროს ან მისი მშობლების მიერ საცოლოს გამოსყიდვა (ყალიბი), ნაჩელაში და სხვა მოკლულის მშობელთა, ნათესავთა ან საგვარეულოს მიერ მიღება მკვლელობისაგან, ან მისი ნათესავებისაგან ქონებრივი საზღვაურისა; ქალის იძულება გათხოვებისათვის მისდაუნებურად, კერძოდ, საცოლოს გამოსასყიდელის გადახდით და სხვა.

ესევე კოდექსი ითვალისწინებს ქალის მოტაცებას 162 მუხ., ექიმაზობას და მკიოხაობას 199 მუხ.

იმისათვის, რომ მშრომელი მოსახლეობა რაც შეიძლება ფართოთ გაეცნოს ამ კანონებს და თანვე განემარტოს ამ კანონებით გათვალისწინებულ მოქმედებათა მეფე შედეგები, წინადადება გეძლევთ:

- 1) ზემოაღნიშნულ კანონებით გათვალისწინებულ ქმედებათა განხილვის დროს მოაწყოთ ხოლმე საჩვენებელი პროცესები;
- 2) გამოიყენოთ შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ადგილას მოწვეული იქნება კრებები და ამ კრებებზე აღნიშნული კანონის პოპულიარიზაციის მიზნით გაავითოთ სათანადო მოხსენება, რის შესახებ შეუთანხმდეთ სათანადო ორგანიზაციებს;
- 3) შეხვედეთ კონტაქტში ქალთა განყოფილებებთან და ასეთივე მოხსენებები მოაწყოთ ხოლმე ქალთა სადგენეგატო კრებებზე;
- 4) აღნიშნულ კანონის პოპულიარიზაციის საქმეში ჩააბათ იუსტიციის ადგილობრივი მუშაკები—გამომძიებლები და დამცველთა კოლეგიის წევრები სახალხო მსაჯულები და საერთოთ სოფლის ყველა აქტიური ძალები.

იუსტ. სახალხო კომისარის და რესპუბლიკის პროკურორის მოადგ.

ტალახაძე.

საინსტრუქტორო-სარევიზო განყ. გამგის მაგ. **ს. ხარაბაძე.**

ცირკულარი № 29.

ყველა სამაზრო და სახალხო მოსამართლეს და მაზრის პროკურორს.

ასლი: უზენაეს სასამართლოს, აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.

ნაციონალური უმცირესობათა მოსახლეობაში იურიდიული უცოდინარობის აღმოსაფხვრელად, იუსტიციის სახალხო კომისარიატი

საპიროდ სცნობს საბჭოთა სამართლის და უწინარეს ყოვლისა იმ ძირითად კანონების პოპულარიზაციას, რომელიც ეხებოდა მოსახლეობის ინტერესებს და ყოფა-ცხოვრებას. ამისათვის საპიროდ მოსახლეობას გავაცნოთ შემდეგი კანონ-დებულებანი:

1) დებულება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოწყობილი ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიისა და მის ადგილობრივ ორგანოების შესახებ (საქართველოს სსრ 1926 წლის № 4 კან. და გან. კრებ., მუხ. 95), 2) ინსტრუქცია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ადგილობრივი ორგანოების მუშაობის შესახებ (1927 წ. № 7 კან. კრებ., მუხ. 101) და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტი სახელმწიფო ენის შესახებ (1924 წლის № 1 კან. და გან. კრებ., მუხ. 10; 1924 წ. აპრილის 6-ის № 78 „კომუნისტი“, 1924 წლის აპრილის 6-ის № 54 „ზარია ვოსტოკა“) და კერძოდ აღნიშნული დეკრეტის § 13 სასამართლო დაწესებულებებში სასამართლოს წარმოების ენის შესახებ. მიწის საკითხების გასაშუქებლად მეცადინეობის პროგრამაში შეტანილ უნდა იქნეს მიწის კოდექსიდან შემდეგი მასალა:

- 1) სასოფლო-სამეურნეო შენობათა და ნაგებობათა გაყიდვისა და გაჩუქების, აგრეთვე დაგირავებისა ანდერძით გადაცემის პირობების შესახებ (მიწ. კოდ. 23 მუხ.);
- 2) მიწის ყიდვა-გაყიდვის, ანდერძით გადაცემის, გაჩუქების და საზოგადოდ მიწის გასხვისების აკრძალვისა და ამ აკრძალვის დარღვევის შედეგების შესახებ (მიწ. კოდ. 25 მუხ.) იმ მოტივების აღნიშვნით, რომლებმაც გამოიწვიეს ეს ღონისძიებანი;
- 3) მიწის იჯარის პირობების შესახებ (მიწ. კოდ. 26—36 მ.);
- 4) კომლის შედგენილობისა და კომლის გაყრის შესახებ (მიწ. კოდ. 39—55 მუხ.);
- 5) საადგილ-მამულო დაგების განხილვის წესის შესახებ (მიწ. კოდ. 161—165 მ.).

გარდა ამისა მოსახლეობას უნდა განემარტოს:

- 1) საბჭოების არჩევის კანონები; 2) საბჭოთა მართლმსაჯულების ხასიათი და სახალხო მსაჯულობა როლი; 3) ზიანი, რომელიც მოაქვს ექიმბაზობას, ფარულ ადვოკატურას, ყოფა-ცხოვრებითი ტრუმორწმუნობას; 4) კანონები ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ (1928 წ. № 9 კან. კრებ.); 5) დადგენილება „ადგილობრივ საპირობათა დასაკმაყოფილებლად სოფლის მოსახლეობის თვითდადგეგვის შესახებ“ (1927 წ. № 1 კან. და გან. კრებ.); 6) საადგილ-მამულო ორგანოების მეშვეობით ტყის მიღების წესი და პირობები; 7) როგორ უყურებს ქალს ჩვენი კანონმდებლობა; 8) სამხედრო მსახურთა და მათი ოჯახების ინტერესების დამცველი კანონები.

რაც შეეხება შრომის საკითხებს, შრომის კოდექსის საერთო განმარტების გარდა, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ კანონდებულებებს:

- 1) 1925 წ. აპრილის 18-ის „დროებითი წესები საგლეხო მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის განიყენების პირობების შესახებ“ (სსრკ. 1925 წ. № 26 კან. კრებ., მუხ. 183).
- 2) ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომ. საბ. 1925 წ. ივლისის 30-ის ინსტრუქცია ამ დადგენილების შეფარდების შესახებ, გამოქვეყნებული 1925 წ. აგვისტოს 5-ის № 943 „ზარია ვოსტოკა“-ში და 1925 წ. № 14—შრომის კანონმდებლობის მოამბე“-ში, გვ. 1—9.
- 3) ა/კ. სფსრ სახ. კომსაბჭოს 1928 წ. მარტის 31-ის № 28 დადგენილება 1925 წ. ივლისის 30-ის ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილებებისა და შევსების შესახებ, გამოქვეყნებული ა/კ. ს. ფ. ს. რ. 1928 წ. № 9 კან. კრებულში.

დასახულ ღონისძიებათა რაც შეიძლება ფართოდ გატარებისათვის წინადადება გეძლევათ ჩაბათ მუშაობაში როგორც იუსტიციის მუშაკები, ისე მაზრის ყველა აქტიური ძალა, საპიროდ ანგარიში გაუწიოთ ადგილობრივ პირობებს და შესაძლებლობას და ისე აწარმოოთ ძლიერი კამპანია ამ მიმართულებით.

იუსტიციის სახალხო კომისარის და რესპუბლიკის

პროკურორის მოადგ. ტალახაძე.

საინსტრუქტორო-სარევიზო განყ. გამგის მაგ. ს. ხარაბაძე.

ცირკულარი № 30.

სახალხო სასამართლოებს.

ასალი: სამაზრო სასამართლოებს, პროკურორებს, უზენაეს სასამართლოს და აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოხეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს. იტალიის მოქალაქეთა სამკვიდრო ქონების ბედის შესახებ ს. ს. რ. კავშირში.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ საკითხი იტალიის მოქალაქეთა სამკვიდრო ქონების ბედის შესახებ ს. ს. რ. კავშირში უნდა სწყდებოდეს მარტოდენ საბჭოთა სამემკვიდრეო კანონების მიხედვით, ვიდრე არ დაიდება ცალკე კონვენცია, გათვალისწინებული ს. ს. რ. კავშირისა და იტალიას შორის 1924 წ. თებერვლის 7-ს ეკტობრისა და ზღვაოსნობის შესახებ დადებული ხელშეკრულების მე-XI მუხლში.

იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე ტალახაძე.

საინსტრ.-სარევიზ. განყ. გამგის მაგ. ს. ხარაბაძე.

ცირკულარი № 31.

სამაზრო და სახალხო სასამართლოებს.

ასალი: უზენაეს სასამართლოს, აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოხეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს. უცხო სახელმწიფოთა საკონსულოების იურისკონსულტთა უფლების შესახებ დაიცვან საქართველოს სსრ სასამართლო დაწესებულებებში იმ სახელმწიფოების ცალკე მოქალაქეთა ინტერესები, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ იმ საკითხის გადაჭრის დროს, რომელიც შეეხება უცხო სახელმწიფოს იურისკონსულტის უფლებას გამოვიდეს საქართველოს სსრ სასამართლო დაწესებულებებში, უნდა იხელმძღვანელოთ შემდეგით:

1. უცხო სახელმწიფოს იურისკონსულტს უფლება აქვს გამოვიდეს მხოლოდ ისეთ საქმეებზე, რომლებზედაც ერთ-ერთ მხარედ გამოდის თვით საკონსულო, როგორც იურიდიული პირი.

2. უცხო სახელმწიფოთა ცალკე მოქალაქის ინტერესების დასაცავად საქართველოს სსრ სასამართლო დაწესებულებებში უცხო სახელმწიფოს საკონსულოს იურისკონსულტს შეუძლია გამოვიდეს მხოლოდ იმ პირის განსაკუთრებული რწმუნებით, რომელმაც მიანდო მას თავისი საქმე. მაგრამ, თუ უცხო სახელმწიფოს საკონსულოს იურისკონსულტი არ შედის წევრად დამცველთა კოლეგიაში, სასამართლოს სისხ. სამ. საპრ. კოდ. 52 მუხ. და სამ. სამ. საპრ. კოდ. 17 მუხ. „გ“ პუნქტის ძალით, შეუძლია დაუშვას ან არ დაუშვას იგი საქმეზე. ასეთ შემთხვევაში, საკონსულოს მიერ იურისკონსულტისათვის მიცემულ განსაკუთრებულ მოწმობას იმის შესახებ, რომ იგი ავალებს ან უფლებას აძლევს თავის იურისკონსულტს გამოვიდეს ამა თუ იმ მოქალაქის ინტერესების დასაცავად, სასამართლოსათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იგი არ უკარგავს ძალას იურისკონსულტის მიმართ სისხ. სამ. საპრ. და სამ. სამ. საპრ. კოდექსის ზემოაღნიშნულ მუხლებს და სასამართლოს უფლება აქვს დაუშვას ან არ დაუშვას აღნიშნული იურისკონსულტი საქმის დასაცავად.

იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე—ტალახაძე.

საინსტრუქციო-სარევიზო განყ. გამგ.

გის მაგ.—ს. ხარაბაძე.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

**საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატისა.
ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს ა.წ. 23-ის
№ АГО-21 შეკითხვის თაობაზე.**

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო ა.წ. ოქტომბრის 21-ის № АГО—21 მომართვაში ითხოვს განმარტებას, შეუძლია თუ არა სახელმწიფო დაწესებულებას ან საწარმოს მისცეს რწმუნებულობა არა თავის თანამშრომლებს, არამედ გარეშე პირთ-ტვირთის გადაზიდვისათვის ზედმეტად გადახდევინებული თანხების და აგრეთვე ტვირთის დაგვიანებისათვის საზღაურის მისაღებად, და საკმარისია თუ არა, რომ ამ რწმუნებულობას ხელს აწერდეს პასუხისმგებელი ხელმძღვანელი და მასზე დასმული იყოს სახელმწიფო ორგანოს ბეჭედი.

აღნიშნული შეკითხვა უნდა განვიხილოთ საქართველოს სსრ სამ. სამ. კოდ. 266 და 267 მუხ. მიხედვით. 266 მუხ. გათვალისწინებულია რწმუნებულობის გაცემა როგორც კერძო პირებზე, აგრეთვე ისეთ ორგანიზაციებზე, რომლებიც არ შეიძლება ჩათვალოს სახელმწიფო ორგანოდ (სახელმწიფო დაწესებულებად ან საწარმოდ) 267 მუხლით კი გათვალისწინებულია რწმუნებულობის გაცემა სახელმწიფო დაწესებულებების და სახელმწიფო საწარმოების სახელით და ეს მუხლი არ მოითხოვს, რომ ასეთი რწმუნებულობა, რომლითაც ამა თუ იმ პირს უფლება ენიჭება რაიმე მოქმედება შესასრულოს მთავრობის ორგანოსა ან თანამდებობის პირის მიმართ, სანოტარო წესით იყოს დამოწმებული.

გარდა ამისა, ზემოაღნიშნულ ნორმების დაწესების დროს რომ მხედველობაში ჰქონოდათ ამ ნორმებისათვის სხვა შინაარსის მიცემა, მაშინ 265 მუხლს სხვა რედაქცია ექნებოდა და ამასთან დაკავშირებით 267 მუხლშიც უნდა ყოფილიყო აღნიშნული, რომ სახელმწიფო დაწესებულების ან სახელმწიფო საწარმოს სახელით გაცემულ რწმუნებლობით, რომელზედაც ხელი უწერია პასუხისმგებელ ხელმძღვანელს და აღნიშნული დაწესებულების ან საწარმოს ბეჭედი დასმული, ამა თუ იმ პირს უფლება ენიჭება შესასრულოს განსაზღვრული მოქმედება ყველა პირისა და ორგანიზაციის, მაგრამ არა სახელმწიფო ორგანოს მიმართ. კანონში ასეთი შენიშვნის შეტანა ისე უნდა ყოფილიყო გაგებული, ვითომც კანონით რწმუნებულობის გაცემა მოქმედების შესასრულებლად მთავრობის ორგანოს მიმართ და რწმუნებულების გაცემა მოქმედების შესასრულებლად საზოგადოებრივ ორგანიზაციის მიმართ განსაზღვრულდეს ერთი მეორისაგან.

რაც შეეხება მეორე შეკითხვას, იგი უნდა განვიხილოთ ზემოთქმულთან და აგრეთვე იმ დებულებასთან დაკავშირებით, რომ ერთადერთ შემხვედრად გარემოებად რწმუნებულობის გასაცემად ამა თუ იმ პირის სახელზე შეიძლება იყოს ის, რომ უკანასკნელი არ არის კმედუნარიანი, ან ის, რომ იმ პირს, რომლის სახელზედაც გაცემულია ან უნდა გააცეს რწმუნებულობა, არ შეუძლიან რწმუნებულობით გათვალისწინებული მოქმედების შესრულება ან ამ მოქმედების შესრულების დავალება, თვით მოქმედების ბუნებისა და ხასიათის გამო.

ზემოაღნიშნულის მიხედვით იუსტიციის სახალხო კომისარიატი სცნობს, რომ რაკი კანონით (276 მუხ.) არ არის განსაზღვრული იმ პირთა წრე, რომლებსაც შეიძლება მიეცეს სახელმწიფო დაწესებულების ან სახელმწიფო საწარმოს სახელით პასუხისმგებელ ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი და სათანადო ბეჭედდასმული რწმუნებულობა, არ მოიბოვება არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ უკანასკნელთ არ მიეცეს უფლება გასცენ რწმუნებულობა არა მხოლოდ თანამდებობის პირზე, არამედ კერძო პირებზედაც.

აღნიშნული მოსაზრებით, იუსტიციის სახალხო კომისარიატი ფიქრობს, რომ სახელმწიფო დაწესებულების და სახელმწიფო საწარმოს სახელით გაცემულს და პასუხისმგებელ ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილს და სათანადო ბეჭედდასმულს რწმუნებულობას ძალა აქვს მოქმედების შესასრულებლად აგრეთვე მთავრობის ორგანოს მიმართაც, და რომ ასეთი რწმუნებულება შეიძლება გაცემულ იქნეს ისეთ პირთა სახელზედაც, რომლებიც არ მსახურობენ ამა თუ იმ დაწესებულებას ან საწარმოში; ხოლო, რა თქმა უნდა, ამ რწმუნებულობით გათვალისწინებული მოქმედება მთავრობის ორგანოს მიმართ ისეთი უნდა იყოს, რომ მისი შესრულება შესაძლებელი იყოს იმ პირის მიერ, რომელიც ამა თუ იმ დაწესებულებას ან საწარმოში არ მსახურობს.

იუსტიციის სახალხო კომისარის მაგ. **ი. ტალახაძე.**


საკანონმდებლო განყ. გამგე **ი. როინაშვილი.**

იურისკონსულტი **კ. მიქელაძე.**

გამომცემელი:

**სამ. ს. ს. რ. იუსტიციის
სახალხო კომისარიატი**

პასუხისმგებელი რედაქტორი: **შ. მათიკაშვილი.**
სარედაქციო კოლეგია: **ი. ტალახაძე, თ. დოლიძე,
პროფ. შ. ნუცუბიძე, ი. როინაშვილი, კ. მიქელაძე,
ს. ჯაფარიძე, პ. ქავთარაძე.**



ვილეჯა ხელის მოწერა

ჟურნალ „საბჭოეთა სამართალ“-ზე

1929 წლის 1 იანვრიდან 1930 წ. იანვრამდე

ჟურნალი გამოდის ახალი ფორმატითა და შინაარსით
ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო მეცნიერული
და პრაქტიკული მუშაკები.

ჟურნალი გააშუქებს სასამართლო-უფლებრივ ხასიათის
ყოველგვარ საკითხებს და დაეხმარება იუსტიციის, საბჭოთა
და პროფესიონალურ ხაზით მომუშავეებს.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 10 მან. ექვსი თვით 5 მ. 50 კ. სამი თვით 3 მ.

სამ თვეზე ნაკლები ხელის მოწერა არ მიიღება.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32 „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია ტელ. № 10-51

საბჭოეთს სამართალი“-ს რედაქციას

აღვნიშნავს

სამაზრო სასამართლოვნის, სამაზრო მილიციების
სამართლებლოების და პერსონალურ ხელისმომ-
წერლების საყურადღებოდ (როგორც ადგილო-
ბრივ აგრეთვე მაზრებში),

**რომ საჭიროა 15 დეკემბრამდე შემოი-
ტანონ მათზე დარჩენილი დავალიანება.**

ხელისმომწერებს მოვავრთებთ, რომ საჭიროა
ჟურნალზე ხელისმომწერის განახლება, 1929 წლისათ.



1928 წლის 1 იანვრიდან

გ ა მ ო დ ი ს ს. ს. ს. რ. ი უ ს ტ ი ც ი ი ს ს ა ხ ა ლ ხ ო კ ო მ ი ს ა რ ი ა ტ ი ს

ორკვირეული ორგანო

„ს ა ბ ჯ ო ტ ა ს ა მ ა რ ტ ა ლ ი“

„საბჭოთა სამართალი“ ისახავს მიზნად გაუწიოს იდეური ხელმძღვანელობა იუსტიციის მუშაკებს და გააშუქოს სასამართლო-უფლებრივი საკითხები, როგორც თეორიული აგრეთვე პრაქტიკული ხასიათისა საბჭოთა კანონმდებლობის და ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

„საბჭოთა სამართალი“ დიდ ყურადღებას აქცევს სასამართლო მუშაობის პრაქტიკულ მხარეს და დაეხმარება სასამართლოს დარგში ყველა მომუშავეთ სათანადო მასალის მიწოდებით, სადაო საკითხების განმარტებით, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვით, კოდექსების სხვა და სხვა მუხლების ახსნა-განმარტებით და კომენტარიებით.

„საბჭოთა სამართალი“ დიდ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე სასამართლო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და დაუნდობლად ამხელს იუსტიციის მუშაკთა ფარყოფით მხარეებს.

ჟურნალში დათმობილი აქვს ადგილი კენიჭანციაკულ, სამილიციო და სისხლის სამართლის სამკაბრო მილიციის მუშოზას.

გარდა თეორეტიული და პრაქტიკული ხასიათის წერილებისა ჟურნალში არის აგრეთვე უმეღეში განყოფილებები:

საბჭოთა კანონმდებლობის მიმოხილვა, სასამართლოს ცხოვრება, ქრონიკა, ბიბლიოგრაფია, იურიდიული დახმარება (კითხვა-პასუხი), ოფიციალური ნაწილი (დადგენილებები, განმარტებები, ინსტრუქციები, ცირკულარები), ფოსტა, განცხადებები და სხვ.

ჟურნალში თანმხრომლობენ უმეღეში ახსნაწეგები:

(ანბანზე)

ალხოვი ა., ამალლობელი ს., ანდრონიკაშვილი ლ., ბაზოვი გ., გაბაშვილი დ., გალუსტიანი ა., დოლიძე თ., ენუქიძე ევდ., ვარდანიანი ს., ვარძიელი ი., ვაჩიშვილი ა., იუზბაშვილი გ., კაჭარავა ა., კოსტავა ა., კუსიკოვი ა., ლუნკევიჩი ვ., მათიკაშვილი შ., მახარაძე ფ., მეხნიშვილი შ., მიქელაძე კ., ნანეიშვილი გ., ნუცუბიძე შ., პავლიაშვილი ი., პლეტნიკოვი კ., როინაშვილი ი., რცხილაძე გ., სიჭინავა ი., სურგულაძე ი., ტალახაძე ი., ტატიშვილი ე., ქავთარაძე პ., ქორქაშვილი მ., შავერდოვი ა., შურღაია ლ., ჩხეიძე ს., ჯაფარიძე ს. ძაძამიძე ივ. და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: შ. მათიკაშვილი.

სარედაქციო კოლეგია: ი. ტალახაძე, თ. დოლიძე, ი. როინაშვილი, პროფ. შ. ნუცუბიძე, კ. მიქელაძე, ს. ჯაფარიძე, პ. ქავთარაძე.

ხელის მოწერის ფასი: წლიურად—10 მან., 6 თვით—5 მ. 50 კაპ., 3 თვით—3 მ.
ფასი თითო ნომრისა—50 კაპ.

სამ თვეზე ნაკლები ხელისმომწერა არ მიიღება.

რედაქციის და კანტარის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ., № 32, ტელეფონი № 10—51.